# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 15 თებერვალი, 2013 წელი.

№29 (7156)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



## ვადაგასული ხელისუფლება ელიტური კორუფციის ჭაობში იხრჩობა!

3

## როდის აეხდება ფარდა „ზურაბ ჟვანიას საქმეს“?!

4

## დონაძიდან – მერაბიშვილ-სააკაშვილამდე

7



# ახლა აშკარად ბოლომდე პრინციპული ბრძოლის ჟამია!

ხალხის აზრია, რომ „ქართული ოცნება“ მთლიანად დაკავებული უნდა იყოს წინასაარჩევნო დაპირებების დროულად ხორცშესხმით, ანუ ახალი, ჭეშმარიტად დემოკრატიული, სოციალურ-ეკონომიკურად მართლაც ღონიერი ცხოვრების შენებით და არა ავად გაბოროტებული, ძალაუფლებაზე გიჟურად „გამიჯნურებული“, ყავლგასული სააკაშვილის მკვდრეთით აღდგომის ჟინით შეპყრობილი გუნდის ენად გაკრეფილ წევრებთან უაზრო დებატებითა თუ დისკუსიებით. მით უმეტეს, ეს მაშინ, როცა პოლიტიკურ ღობე-ყორეს მოდებული ნაციონალები კრიჭაში უდგანან, ხალხისავე აზრით, მეტისმეტად გადემოკრატებულ, უფრო სწორად, ბოროტების წინაშე თითქოს ფარხმალდაყრილ, დასავლეთიდან ხშირად ხელოვნურად შექმნილი, არცთუ მუდამ საყურადღებო, ფრიად საეჭვო შეფასებების ანგარიშგამწევ „ქართულ ოცნებას“.

ხალხი ნამდვილად დაიღალა ეკრანიდან ერთი და იგივე, ეგრეთ წოდებული ძველი სახეების არაფრისმთქმელი, გუშინდელი დღის ვითომ რეფორმატორულ „უპირატესობათა“ ქადაგებებით.



ნაციონალები იძირებიან....

თუ მართლა სამართლიანობას და ახალ წესრიგს ვამყარებთ, მეტი პრინციპულობა და შემართება გვმართებს. „კატათაგვობანას“ დრო დამთავრდა. ფუქსიტყვაობის ნიაღვარი, რომელმაც ლამის წალეკოს ქვეყანა, დროზე უნდა შეწყდეს!

უსაგნო, უშინაარსო პარტიულ-პოლიტიკურ დაპირისპირებას ხალხი ველარ მოითმენს!

1 ოქტომბრის შემდეგ, როცა ხალხის ისტორიული არჩევანი ცხადი გახდა, თითოეული ჩვენგანი საერთო ქართული ოცნების ახდენას ელოდება.

საქართველოს უპირველესი მიზანი ამჟამად სწორედ ეს არის. არავის არ უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ ამ მიზნის განხორციელებას წინ გადაეღობოს!

ახლა აშკარად ბოლომდე პრინციპული ბრძოლის ჟამია!

## სეისმურად არასაიმედო შენობათა რაოდენობა გაიზრდება!..

6



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**დედაქალაქი**

# „სინათლის ქალაქის“ ბნელი ბიუჯეტი



**თბილისის საკრებულოსთან შეუთანხმებლად შპს „სინათლის ქალაქს“ ბიუჯეტიდან 800 ათასი ლარი გამოეყო, რომელიც ამ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში დასაქმებული ყოფილი მაღალჩინოსნების ხელფასების გაზრდას მოხმარდა, — ამის შესახებ გუშინ საკრებულოში გამართულ პრესკონფერენციაზე ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ ზაზა გაბუნიამ განაცხადა.**

გაბუნიამ პრესკონფერენციაზე წარმოადგინა დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც, 23 იანვარს, თბილისის მთავრობის სხდომაზე მერის გიგი უგულავას ინიციატივითა და მისი მოადგილის დავით ალავიძის ხელმოწერით, შპს „სინათლის ქალაქს“ ბიუჯეტიდან კონკრეტული დანიშნულების გარეშე გამოეყო 800 ათასი ლარი.

მისივე ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილება იმისთვის მიიღეს, რომ თანხით შპს „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭოში დასაქმებული, წინა ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის დანიშნული ხელფასი, რომლის ოდენობა ახლა 2500 ლარს შეადგენს, 5 ათას ლარამდე გაიზარდოს.

გაბუნიამ აღნიშნა, რომ არჩევნების შემდეგ, გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში „სინათლის ქალაქში“ შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო 11 წევრის შემადგენლობით და 100 შტატი.

მან დღევანდელ პრესკონფერენციაზე დაასახელა ის პირები, რომლებიც სამეთვალყურეო საბჭოში შედიან: იტალიაში საქართველოს ყოფილი ელჩი კოტე გაბაშვილი, სპორტის ყოფილი მინისტრი ლადო ვარძელაშვილი, პარლამენტის აპარატის ყოფილი უფროსი დავით ჯანიაშვილი, ყოფილი პარლამენტარი კობა ხაბაზი და ასევე დავით ბაქრაძის მეუღლე, მაკა მეტრეველი.

ზაზა გაბუნიამ ასევე აღნიშნა, რომ ზემოხსენებული გადაწყვეტილება უკვე სისრულეშია მოყვანილი თბილისის სატრანსპორტო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში და იქ დასაქმებულ ყოფილ მაღალჩინოსანთა ხელფასი უკვე შეადგენს 5 ათას ლარს.

მან ასევე განაცხადა, რომ სამეთვალყურეო საბჭო ასევე შეიქმნა შპს „ჰერმესში“ და „თბილსერვისჯგუფში“.

— იმ ფონზე, როდესაც დედაქალაქში უსახლკაროთა და შეჭირვებულთა რიცხვი ასტრონომიულ რაოდენობას აღწევს, დედაქალაქის მერის მხრიდან გრძელდება პარტიული ინტერესებისათვის საბიუჯეტო ფულის ფლანგვის პრაქტიკა. ეს უკვე არის ზღვარგადასული თავხედობა და ამ პროცესის შესაჩერებლად და აღსაკვეთად, მოვითხოვ ცენტრალური მთავრობის და საგამოძიებო სტრუქტურების რეაგირებას, — განაცხადა გაბუნიამ.

# „ჩინური კედელი“ ვაზისუბანში

**„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ვაზისუბნის დასახლებაში ჩინური ქალაქის მშენებლობის საფრთხის შემცველ კომპონენტებზე საუბრობს.**

**როგორც ბაღათურიამ ჟურნალისტებს მშენებლობის ადგილზე განუცხადა, მისი ინფორმაციით, დაგეგმილია ქუთაისის ტოლა ქალაქის მშენებლობა, სადაც ჩინეთის 127 000 მოქალაქის ჩამოსახლება იგეგმება.**

— ეს არის ადგილი, სადაც უკვე დაწყებულია გრანდიოზული მასშტაბის, საქართველოში სიდიდით მეორე ქალაქის ქუთაისის ტოლი ქალაქის მშენებლობა. არის ჩაფიქრებული, რომ აქ ჩამოსახლდეს ჩინეთის 127 000 მოქალაქე. თუ ქალაქი მიიღებს მხოლოდ კომერციულ სახეს და არ იქნება საუბარი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მასობრივ ჩამოსახლებაზე, ბუნებრივია ჩვენ ამ პროექტისადმი არავითარი წინააღმდეგობა არ გვექნება. თუმცა ის, რომ ჩინურ კომპანიასთან საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ ხელშეკრულება ფარულად გააფორმა, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, ადგილზე მივიღოთ პატარა ჩინური ავტონომია, რომელსაც შემდგომში მოჰყვება ჩინური სოფლების მშენებლობა და შესაძლოა, საბოლოოდ ჩვენ აღმოვჩნდეთ ამ ქალაქის გავლენის ქვეშ პატარა ავტონომია, — განუცხადა ჯონდი ბაღათურიამ ჟურნალისტებს.

მისივე ინფორმაციით, მტკიცებულებები აქვს, რომ აღნიშნულ ქალაქს სპეციალური ეკონომიკური ზონის სტატუსიც უნდა მიენიჭოს.

— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ქალაქი მთელი ქალაქის ეკონომიკას ჩაყლაპავს. აქედან გამომდინარე საქართველოს ხელისუფლებას მოვუწოდებთ, რომ მოაცილოს ამ პროექტს საფრთხის შემცველი კომპონენტები, ასეთ შემთხვევაში ის ძალიან კარგი პროექტი იქნება. ჩვენ გვჭირდება ინვესტიციები და ხელს შევუწყობთ ნებისმიერ ინვესტორს, რომელიც ჩვენს ეკონომიკას გააძლიერებს და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის შექმნის სამუშაო ადგილებს“, - განაცხადა ბაღათურიამ.

აღსანიშნავია, რომ ჯონდი ბაღათურიას პრესკონფერენციის განმავლობაში ადგილზე მოვიდა ჩინური კორპორაცია „ხუალინგის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თინათინ შიშინაშვილი, რომელმაც „ქართული დასის“ ლიდერის ინფორმაციაზე ჟურნალისტებთან განმარტება გააკეთა.



შიშინაშვილის თქმით, „ხუალინგი“ საქართველოს მთავრობასთან 2012 წლის 30 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე 2015 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ოლიმპიურ სოფელს ააშენებს, რომელმაც 4 000-მდე სპორტსმენს უნდა უმასპინძლოს.

— 2015 წლის მარტისთვის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, უნდა დასრულდეს ტერიტორიაზე 250 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის მშენებლობა, რომელიც მოიცავს 5-ვარსკვლავიან სასტუმროს, 6 საცხოვრებელ კორპუსს, ასევე სავაჭრო ცენტრს, მედიაცენტრსა და სხვა ინფრასტრუქტურას. პროექტის პირველი ეტაპის ღირებულება დაახლოებით 150 მილიონი დოლარია, რომელიც არის 2015 წლამდე დასასრულებელი პროექტის საფასური. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადის ჩატარების პერიოდში ეს ინფრასტრუქტურა 3 თვის განმავლობაში სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა და საქართველოს მთავრობა მას გამოიყენებს სტუმრების მიღებისთვის, თუმცა ვინაიდან ეს არის კერძო ინვესტიცია, ოლიმპიადის დასრულების შემდეგ ის ისევ დაუბრუნდება ინვესტორს, რომელიც უკვე ღია გაყიდვების წესით გაყიდის ბინებს. ხოლო 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს ოპერირებას რომელიმე ოპერატორი მოახდენს, — განაცხადა თინათინ შიშინაშვილმა.

მისივე განმარტებით, საზოგადოებისთვის აღნიშნული პროექტის მიმდინარეობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია ღიაა. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე ვაზისუბნის მესამე მიკრორაიონის მეორე კვარტლის ტერიტორიაზე, სადაც აღნიშნული ქალაქის მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს, ამ დროისთვის იქ ოთხი პავილიონია აშენებული.




# წერტილოვანი აზრები...

***სოციალური ქსელი facebook-ი ქართულ დღევანდელობაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. გაქცეული მაღალჩინოსნების კომენტარებიდან დაწყებული, სხვადასხვა მოწოდებით დამთავრებული. ამ ქსელიდან უამრავი ადამიანი ღებულობს ინფორმაციას, გამოთქვამს თავის მოსაზრებას, აქტიურად ერთვება საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვან პროცესებში.***

***გთავაზობთ რამდენიმე „სტატუსს“, რომლებმაც ყველაზე მეტი „ლაიკი“, ანუ „მოწონება“ დაიმსახურეს.***

● „მაშასადამე, თუ დავით ბაქრაძის გამონათქვამით ვიმსჯელებთ, რომ „საკონსტიტუციო ცვლილებებზე მიმდინარე მოლაპარაკებები არის სამუშაო პროცესი და ვინაიდან ქვეყანაში არის რთული ვითარება, ეს არის ხანგრძლივი პროცესი...“ აშკარაა, რომ ნაციონალებს სურთ დროის მოგება... ამასობაში ხშირ-ხშირად მოაწყობენ 8 თებერვლისმაგვარ პროვოკაციებს, მათსავე დაქირავებულ ზონდერებს დაანგრევინებენ საკუთარ თავ-ყბას და მიშას მითითებით შეეცდებიან, ქვეყანაში შექმნან ისეთ სიტუაცია, რომელიც მიშას, როგორც ე.წ. პრეზიდენტს, მთავრობის უუნაროდ გამოცხადების და უფრო მეტიც, საგანგებო სიტუაციის გამოცხადების საშუალებას მისცემს... დადექით მერე და იკითხეთ შეცვლილი კონსტიტუცია“.

* * *

● ჩემს ქალაქში არაფერი
მაოცებს,
თუკი მერი მოქალაქეს
ამოსცხებს.
უსაქმურებს აფინანსებს
მერია,
შენი მერი შენი ქვეყნის
მტერია.
აქ ხომ დენზე მიბმულია
ნაგავი,
მოქალაქე უკავიათ სადავით...
აქ ცხოვრება აღარ არის
ფერადი,
აქ დაკითხვა გახდა
მრავალჯერადი.
აქ კანონებს ჩაგითვლიან
ბოდვაში,
და აქ ახლა ბოზობაა
მოდაში.
აქ უნიჭო სტატიები ჰიტია,
მერს ქვეყანა სულ ცალ ფეხზე
ჰკიდია.
ჩვენს ქალაქში ყველაფერი
მოსულა,
პრეზიდენტმა ვიღაც
დააორსულა“.

* * *

● „ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს პროკურატურაში იბარებენ დაკითხვაზე!“ როგორ მსიამოვნებს ეს ფრაზა. შემიძლია დღეში რამდენჯერმე მოვისმინო ის სხვადასხვა სამაუწყებლო საშუალებიდან. სულმოუთქმელად ველოდები, როცა მას შემდეგი ფრაზაც მოყვება: „...იბარებენ დაკითხვაზე და შემდეგ იტოვებენ მიწერ-მოწერის უფლების გარეშე“.

● ვახ მე, ეს დიდი ჰუმანისტი კაცი თურმე რა გამწარებული ვყოფილვარ!

ამ დროს პირადად ჩემთვის მათ არაფერი არ დაუშავებიათ: ბიზნესი არ წაურთმევიათ, თავისი გამონაცვალი ქალი ჩემთვის ცოლად არ შემოუთავაზებიათ, მიტინგზე არ ვუცემივარ და მოსმენითაც არ მისმენდნენ.

რას ვერჩი, არა?“

* * *

● „მერე რა, რომ ბიზნესი არასდროს მქონია, მიტინგებზე არ მივლია. მაგრამ მაინც გამწარებული ვარ რაღაცაზე. ეტყობა საერთო ფერხულს ავყევი და იმიტომ.

არა, უნდა დავწყნარდე, საღად შევხედო ყველაფერს და რამე სასიამოვნო ვნახო ნაცმოძრაობის სახეებში: ვანოში, ნუგზარაში, აკო-გოკა-გიგი-პუკა-ტრაკაში...“

* * *

● „ერთად რომ მიიყვანონ ეს ნაცები და მათი მომხრეები მაესტროს ეთერში, არ შეიძლება? (აბა ასე თითო-თითოდ ქე გავა ოთხი წელი)“.

* * *

● „ბოდიში მამითხოვია, მარა რა მინდა ვიკითხო:

რამდენი ადამიანი მუშაობს დღევანდელ მთავრობაში (სამინისტროებში, დეპარტამენტებში დ.ა.შ), რომლებიც ნაც-კოორდინატორების რეკომენდაციით მიიღეს, რომლებიც თავიანთი „პატარა“ საქმიანობით ბობოლებს აპრავებდნენ, რომლებმაც 1 ოქტომბერს 5-იანი შემოხაზეს და იმ 5-იანს რომ გაემარჯვა, ჩვენზე იკაიფებდნენ?

კი არაფერი მარა, პროსტა უხერხული ხომ არ არის ჰა?“

**თიკო თვალაძე**

**ინფორმაცია**

# წაიყვანენ იძულებითი წესით დასაკითხად უგულავას?

**გამოძიება** მიმართავს საქალაქო სასამართლოს, რათა გასცეს ბრძანება გიგი უგულავას გამოძიების წინაშე იძულებით წარდგენის შესახებ. ამის თაობაზე ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

— თბილისის მერი გიგი უგულავა, შინაგან საქმეთა სამინისტროს არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, მოწმის სტატუსით დაკითხვაზე არ გამოცხადდა. შესაბამისად, მის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული იძულებითი ზომები განხორციელდება. გამოძიება მიმართავს საქალაქო სასამართლოს, რათა გასცეს ბრძანება გიგი უგულავას გამოძიების წინაშე იძულებით წარდგენის შესახებ. პირის იძულებით მოყვანის წესი გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსის 175-ე მუხლით, — აღნიშნულია განცხადებაში.

ამასთან, თბილისის მერმა გიგი უგულავამ ამ თემაზე განცხადება 13 თებერვალს გაავრცელა და აღნიშნა, რომ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებას დაემორჩილება.

**ინტერპრესი**

# დაფინანსებული „მკვდარი სულები“



## „დასაქმება“ ნაციონალურად

*დასაქმების პროგრამისთვის 5 მილიონ ლარზე მეტი თანხის ფიქტიურად ხარჯვის გამო ყოფილი პრემიერი ვანო მერაბიშვილი გამოძიებამ მოწმის სახით დაკითხა. საქმე ეხება სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამას, რომლის ფარგლებშიც დასაქმებულმა 21 ათასზე მეტმა პირმა, გამოძიების ინფორმაციით, ხელფასი „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო პროგრამაში მონაწილეობისთვის მიიღო. სინამდვილეში, ფიქტიურად დასაქმებულებს არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ.*

*გარდა ამისა, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები ყოველთვიურად მილიონობით ლარით ფინანსდებოდნენ. მაგალითად, „თბილსერვისის“ სამეთვალყურეო საბჭოში შედიოდნენ ბადრი ბასიშვილი, ეკა ხერხეულიძე, ირაკლი ქავთარაძე, გიორგი ხახნელიძე, მამუკა ხერხეულიძე. ისინი 216 075 ლარით დაფინანსდნენ.*

*ასეთივე სქემა მოქმედებდა „სინათლის ქალაქშიც“, რომლის სამეთვალყურეო საბჭოშიც დასაქმებულები იყვნენ ლადო ვარძელაშვილი, კობა ხაბაზი, კოტე გაბაშვილი, ლაშა მაქაცარია და სხვები.*

*მუნიციპალურ დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოებში 5000-5000 ლარად კი მუშაობდნენ გიორგი ასანიძე, ხათუნა ოჩიაური, კოკა სეფერთელაძე, ლაშა დამენია, ზაალ გამცემლიძე, რუსუდან კერვალიშვილი.*

*ბოლო დროს საზოგადოებამ იმის შესახებაც შეიტყო, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის შემოწმებისას მსახიობი გოგოლა კალანდაძე გაფორმებული იყო პეტეეს-ის (პირდაპირი ტრანსლაციის სატრანსპორტო საშუალების) მძღოლად და 3000 ლარი ხელფასი ერიცხებოდა. მსგავსი ფაქტები 700-მდე აღმოჩნდა, რომ არაფერი ვთქვათ თეატრალური კვარტეტის ბიჭების „დასაქმების“ შესახებ, რომლებიც ისან-სამგორის რაიონის №2 განყოფილებაში დამგველ-ალპინისტის შტატზე იყვნენ გაფორმებულნი და სახელფასო ანაზღაურების სახით, საერთო ჯამში, 71 338 ლარი აქვთ მიღებული შეუსრულებელი სამუშაოსთვის.*

*ე.წ. მკვდარი სულების დასაქმების შესახებ For.ge-ს საპარლამენტო უმცირესობის წევრს კაკო ბობოხიძეს ესაუბრა.*



# ვადაგასული ხელისუფლება ელიტური კორუფციის ჭაობში იხრჩობა!

**— იმ ფონზე, როცა საქართველოში მილიონ ნახევარი ადამიანი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ არის, მორალურად, რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ, რომ ყოფილი ჩინოვნიკები ყოველთვიურად მილიონობით ლარს იღებდნენ?**

— რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, ამ პროგრამაში ადამიანების ნაწილი არჩევნების ბოლო თვეს ჩაერთო, თუმცა, ნაწილი მანამდეც იყო ჩართული. ვინც უფრო ადრე გახლდათ ამ პროგრამაში, მათ გარკვეული სამუშაოები უკვე შესრულებული აქვთ და გარკვეული საინფორმაციო ბაზაც უკვე არსებობს. ადამიანების ნაწილი კი ჩაერთო არჩევნების წინა თვეს და ეს პროგრამა უბრალოდ შეწყდა 1 ოქტომბრის საარჩევნო შედეგების გამო. მე არ ვიცი, რამ გამოიწვია ამ ადამიანების საქმიანობის შეწყვეტა და გამოიწვია თუ არა იმან, რომ მთავრობა შეიცვალა. არც ის ვიცი, შეასრულებდნენ თუ არა ისინი იმ დავალებას, რისთვისაც იყვნენ აყვანილნი, თუკი მთავრობა არ შეიცვლებოდა. ის, რომ ისინი იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები, ალბათ, მთლად სიმართლეს არ შეესაბამება. უბრალოდ, მეც ვინმემ რომ მითხრას და მთხოვოს რეკომენდაცია გავუწიო ადამიანებს, ბუნებრივია, რეკომენდაციას იმ ადამიანებს გავუწევ, რომელთაც ვიცნობ და იმათ ვერ გავუწევ რეკომენდაციას, ვისაც არ ვიცნობ.

**— იმ ფონზე, როცა ამდენი ხალხი შიმშილობდა, ხომ არ ჯობდა, უბრალო ადამიანების დასახმარებლად მიმართულიყო თანხები და არა წინასაარჩევნო მიზნებისთვის?**

— თქვენ ვინმე ბრალიანი ადამიანი ნახეთ ამ სიაში?

**— რამდენიც გინდათ. არსებობს სხვა სიებიც, სადაც ჩინოვნიკები და მომღერლები არიან გაფორმებულნი. მაგალითად, გვყოლია ალპინისტი მომღერლები, დიდი „მეთვალყურე“ ნაციონალები, თქვენი აქტივი...**

— ეს დასაქმების სააგენტოში აყვანილ ხალხს არ ეხება, მაგრამ გეთანხმებით, ეს ძალიან ცუდი პრაქტიკა იყო და ეს იყო არა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემუშავებული პრაქტიკა, არამედ სამწუხაროდ, აღნიშნული მოდელი საქართველოში ათეულობით წლების განმავლობაში არსებობდა, როდესაც ესა თუ ის ჯგუფი ფორმალურად არსებობდა სხვა შემოსავლებით და ამ დროს აკეთებდა სულ სხვა საქმეს. თუ მომღერალთა ეს ჯგუფი ღირებული იყო ქართული საზოგადოებისა და კულტურისთვის, მაშინ მიმაჩნია, მათთვის რაღაც ფორმით გამონაკლისი უნდა დაშვებულიყო. იმავე ლოგიკით, მაშინ რუსთაველის თეატრსაც არ უნდა ვინახავდეთ და რუსთველის თეატრი თავისი შემოსავლებით უნდა ირჩენდეს თავს. ამიტომ რუსთაველის თეატრს საიდან შევინახავთ, პირდაპირ მივცემთ ბიუჯეტს თუ სადღაც გავაფორმებთ?! თუმცა, გეთანხმებით იმაში, რომ, თუ ჩაითვალა საჭიროდ, რომ ამ ჯგუფს უნდა დავხმარებოდით, ალბათ, ჯობდა სხვანაირად დავხმარებოდით.

**— ამ შემთხვევაში, უბრალო ხალხზე მაქვს აქცენტი. ქვეყანაში იყვნენ მრავალშვილიანი დედები, მოშიმშილე ადამიანები. როგორ გგონიათ, ასეთ დროს პრიორიტეტები არ უნდა განსაზღვრულიყო?**

—ბოდიშს ვუხდი, რომ ხალხი შიმშილობს, მაგრამ ჩვენ რუსთაველის თეატრს ვაფინანსებდით. მარჯანიშვილის თეატრი არ უნდა დაგვეფინანსებინა?

**— თეატრებზე არ გეუბნებით, აქ ცალკეულ ადამიანებზეა საუბარი.**

— ესეც იყო ქართული კულტურის სახე.

**— ჩვენისთანა ქვეყანაში ხომ არ ჯობდა პრიორიტეტები სხვაგვარად გადანაწილებულიყო?**

— ალბათ, აჯობებდა და ზუსტად იგივე უნდა გავავრცელოთ კულტურის სხვა სფეროებზეც მაშინ, როდესაც გვყავს უამრავი დამშეული ადამიანი, რუსთაველის, მარჯანიშვილის თეატრებმა რამენაირად თავიანთი საქმიანობით უნდა ირჩინონ თავი.

**— ტარიელ ხიზანეიშვილის ერთგვარ აღსარებასაც გამოვეხმაუროთ, რუსუდან კერვალიშვილი და სხვები, მათ შორის, პარლამენტარები, საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას იღებდნენ ე.წ. სამეთვალყურეო საბჭოში დასაქმების შედეგად. არადა, მათი ფინანსები ისედაც სოლიდურია.**

— არსებობს სამეთვალყურეო საბჭოები და ამ საბჭოების საჭიროება არც ახალ ხელისუფლებას არ დაუსვამს კითხვის ნიშნის ქვეშ. სამეთვალყურეო საბჭოები არ არის მარტო მერიის მიერ დაქვემდებარებულ სამსახურებში, არამედ ეს არის ცენტრალური სამსახურების მიერ დაქვემდებარებულ უწყებებშიც, სადაც, ასევე, წარმატებით არიან დასაქმებულნი საზოგადოებისთვის ცნობილი პირები, ოღონდ უკვე „ქართული ოცნებიდან“. ზოგადად, უნდა განვიხილოთ ამა თუ იმ სამსახურების ჯანსაღი ფუნქციონირებისთვის არის თუ არა საჭირო სამეთვალყურეო საბჭოები?! თუ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება, რომ არ არის საჭირო ან მათ მიერ საქმიანობაში შეტანილი წვლილი არ ღირს იმ ხარჯად, რა ხარჯიც ამ საბჭოების არსებობას მოჰყვება, მაშინ ზოგადად უნდა ვიმსჯელოთ ამ საბჭოების გაუქმებაზე.

**— არ ფიქრობთ, რომ სამეთვალყურეო საბჭოში რუსუდან კერვალიშვილის მოღვაწეობა ფიქცია იყო და ის სამშენებლო ბიზნესშიც წარმატებითაა ჩართული?**

— კიდევ ერთხელ გიმეორებთ, არ ვიცი, ფიქციაა თუ არა კოკა გუნცაძის სამეთვალყურეო საბჭოში ყოფნა.

**— ეს ერთეული ფაქტია და ტარიელ ხიზანეიშვილის ჩამონათვალში უამრავი შეძლებული ნაციონალი იყო სამეთვალყურეო საბჭოებში.**

— ცალკე აღებული თითოეული შემთხვევა, მართალია, ერთეული შემთხვევაა, მაგრამ ერთად აღებული რამდენიმე შემთხვევა უკვე აღარ არის ერთეული. სამეთვალყურეო საბჭოების ფუნქციონირების საჭიროება ჯერჯერობით ახალ ხელისუფლებასაც არ დაუყენებია კითხვის ნიშნის ქვეშ. ამიტომ ჯობს, ვიმსჯელოთ სამეთვალყურეო საბჭოების საჭიროებაზე. სამეთვალყურეო საბჭოში შესვლის კრიტერიუმი ვერ იქნება მრავალშვილიანობა ან ადამიანის განსხვავებული სოციალური მდგომარეობა.

* * *

**იურისტი ნაზი ჯანეზაშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში რატომღაც დამკვიდრდა ისეთი პრაქტიკა და ისეთი ინფორმაცია ვრცელდებოდა საზოგადოებაში, თითქოს კორუფცია აღარ იყო. გასაგებია, საქართველოში კორუფცია თითქმის აღარ იყო დაბალ რგოლში, მაგრამ მაღალ რგოლში არსებული კორუფცია მზესავით მოსჩანს. თუკი ქრთამს არ იღებდა დაბალი რგოლის საჯარო მოხელე, არ ნიშნავდა, რომ ჩვენთან არ ყოფილა კორუფცია. ეს შეეხება როგორც ბიზნესთან დაკავშირებულ თემებს, ისე სხვადასხვა საწარმოებთან გაფორმებულ კონტრაქტებს.

**— ის, რომ კონტრაქტები ფორმდებოდა არარსებულ პირებთან, ბუნებრივია, ასეთი სახის შრომითი კონტრაქტები დარღვევაა, რადგან აუცილებელია, მიზნობრივად იხარჯებოდეს სახელმწიფო სახსრები და ფიქტიური ხელშეკრულებების დადება, როცა რეალურ მომსახურებას არ ახორციელებს კონკრეტული მხარე, დაუშვებელია. მით უფრო, საჯარო დაწესებულებებში, როცა საუბარია სახელმწიფო ბიუჯეტზე. ამდენად, ეს შეიძლება ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებდეს,** — აცხადებს ნაზი ჯანეზაშვილი.

**მარიამ ლოლაშვილი**

## ალიან-ჩალიანი

### დავითაშვილი: მკვლელების წინაშე ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ

**არც მონანიებას არ ვაპირებ და არც ბოდიშის მოხდას მკვლელების წინაშე, არც იმის თქმას, რომ მეტს აღარ ვიზამ, — ამის შესახებ განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა კობა დავითაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას გააკეთა.**

**კობა დავითაშვილმა „მაესტროს“ ეთერში მომხდარ ინციდენტზე საუბრისას განაცხადა, რომ პირველს ხელი მისთვის სერგო რატიანს არ დაურტყია.**



**— უნდა ვაღიარო, რომ რატიანს ხელი არ დაურტყია, ხელი მოიქნია, მაგრამ არ მომხვედრია. თუმცა ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან და რომ მოენდომებინა, ამას მოახერხებდა. პირველი მე ვკარი ხელი და მისი წაქცევაც არ ამცირებს მას, რადგან ფეხი დაუცდა აშკარად. პირველად მე შევაგინე, არაფერს ვნანობ, არც ბოდიშის მოხდას ვაპირებ, მაგრამ მზად ვარ პასუხი ვაგო, როგორც სამართლებრივად, ისე პოლიტიკურად, — განაცხადა დავითაშვილმა.**

**კობა დავითაშვილი უმრავლესობის მხრიდან ინციდენტთან დაკავშირებით გაკეთებულ შეფასებებსაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ პირადად მას უმრავლესობიდან არ დაკავშირებიან.**

**„ვიცი და მესმის, რომ არსებობს თმენის ვალდებულება, მაგრამ სხვა სხვის ომში ბრძენიაო. ძალიან რთულია, გამოიჩინო თმენა, როდესაც წააწყდები უსამართლობის და ცინიზმის ისეთ გამოხატულებას, როგორიც მე ვიხილე გუშინ. თუ საპარლამენტო უმრავლესობას მიაჩნია, ასეთი შეფასებებიც მოვისმინე, რომ თუ ნერვები ღალატობს ადამიანს, სახლში უნდა იჯდეს, ეს მათი გადასაწყვეტია. ამ გადაწყვეტილებას მე არ დავემორჩილები. ამ ბოლო დროს ჩვენ საჯაროდ გვაქვს ერთმანეთთან ურთიერთობა, — განაცხადა კობა დავითაშვილმა.**

**დავითაშვილი აცხადებს, რომ სანამ ქვეყანაში მართლმსაჯულება არ განხორციელდება და სასამართლო სრულიად დამოუკიდებელი არ იქნება, ძალადობის საფუძველი კვლავ იქნება. დავითაშვილი აცხადებს, რომ ჯერ სამართალდამცავები არ დაკავშირებიან, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, თავად გამოცხადდება სამართალდამცავ ორგანოებში.**

**დავითაშვილი მიმართავს საპარლამენტო უმრავლესობას და მოუწოდებს, შექმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის როგორც 8 თებერვლის, ისევე 7 ნოემბრის და 26 მაისის მოვლენებს.**

### რომელი უფრო დაცულია – ჩიორას ცხვირი თუ კობას ლოყა?

**ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელის ეკა ბესელიას განცხადებით, კობა დავითაშვილის ლოყაც და ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირიც კანონით ერთნაირად უნდა იყოს დაცული.**

**„მაესტროს“ ეთერში მომხდარი ინციდენტის შეფასებისას, ბესელიამ პარალელი 8 თებერვლის მოვლენებთან მიმართებაში გაავლო და აღნიშნა, რომ შესაძლოა, იმ ადამიანის ქმედება, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ჩიორა თაქთაქიშვილს, გარკვეული პროვოკაციული განცხადებებით იყო ინსპირირებული. თუმცა, ბესელიას განცხადებით, კანონდამრღვევი დაისაჯა. მისივე თქმით, ანალოგიურად უნდა მოხდეს „მაესტროს“ ეთერში მომხდარი ინციდენტის შემთხვევაშიც.**

**— სერგო რატიანის მხრიდან ბოდიშის მოხდა არ არის ინდულგენცია იმისთვის, რომ კანონდამრღვევმა კანონის წინაშე პასუხი არ აგოს, — აცხადებს ეკა ბესელია.**

**ტელეკომპანია „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში, გადაცემა „არგუმენტებში“ ოთხშაბათს უმრავლესობის წარმომადგენელ კობა დავითაშვილსა და უმცირესობის დეპუტატ სერგო რატიანს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.**

**დაპირისპირება გადაცემაში ორი ლიდერის დებატებს მოჰყვა, რომლის დროსაც კობა დავითაშვილმა რატიანს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. რატიანმა პროტესტის ნიშნად ჭიქა დაამსხვრია და გადაცემის დატოვებას აპირებდა, როდესაც დავითაშვილი მასთან მივიდა, რაც საბოლოოდ ჩხუბში გადაიზარდა.**

**სტუდიიდან ორივე მათგანი ტელეკომპანიის დაცვის თანამშრომლებმა გაიყვანეს.**

**საპარლამენტო უმცირესობის წევრმა, დეპუტატმა სერგო რატიანმა „მაესტროს“ ეთერში მომხდარი ინციდენტისთვის მაყურებელს მოუბოდიშა. როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე რატიანმა განაცხადა, მისი არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, კობა დავითაშვილმა „ზღვარგადასული შეურაცხყოფა არ შეწყვიტა. თუმცა, ამის მიუხედავად რატიანი მაყურებელს მოდიშს უხდის.**

**ინტერპრესი**

## მთელი რვა წელიწადი, ვერსიების იმედად...



# როდის აეხდება ფარდა „ზურაბ ჟვანიას საქმეს“?!

***რა გახდა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მოულოდნელი დაღუპვის მიზეზი? — ეს კითხვა დიდი ხანია აღელვებს საზოგადოებას და სულმოუთქმელად ელოდება პასუხს. იყო ეს მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ თითქოს მალევე უნდა გარკვეულიყო, თუმცა, გამოძიება პასუხს აჭიანურებს.საქართველოში გამორჩეული პოლიტიკოსის რეზონანსული დაღუპვის ოფიციალური ვერსია — ბუნებრივი აირით მოწამვლა დღითი დღე უფრო დაუჯერებელი ხდება, ამიტომაც „ ჟვანიას საქმეს“ ახალი ხელისუფლება თავის ღირსების საკითხად მიიჩნევს და პროკურატურის პარალელურად ამ თემაზე აქტიურად მუშაობს საპარლამენტო კომისიაც. თავად პრეზიდენტი დიდი ენთუზიაზმით როდი შეხვდა ამ ინიციატივას „რაც უნდათ ის გამოიძიონ. ზურაბ ჟვანია იყო ჩემი ახლო მეგობარი. არ ვიცი, უფრო ახლო მეგობარი ვინ ჰყავდა ზურაბ ჟვანიას, ან მე თუ მყავდა უფრო ახლო მეგობარი. მისი სიკვდილი იყო ჩემთვის მძიმე დანაკარგი. თუ ვინმეს უნდოდა ამ უბედური შემთხვევის ყველა დეტალის ბოლომდე გარკვევა, ეს ვიყავი მე. გავარკვიეთ კიდევაც! მე ვიყავი პირადად კონტაქტში აშშ-ს ადმინისტრაციასთან. მე ჩამოვაყვანინე ფედერალური საგამოძიებო ბიუროს სპეციალური ჯგუფი იმიტომ, რომ მაშინ არ გვქონდა ჩვენ შესაბამისი აპარატურა. მათ ყველაფერი გამოიძიეს და ყველაფერი დადეს. ასე რომ, საერთოდ რაზე ლაპარაკობენ ახლა მე არ მესმის.“, — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.***

**არადა, გამოძიება არ არის დამთავრებული, ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით პროკურატურის დასკვნა არ არსებობს.**

ჩვენ შევეცადეთ კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა საზოგადოებისთვის თითქმის მივიწყებული დეტალები, რომელიც ამ საქმეს ახლავს და დავლაპარაკებოდით ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრებს, თუმცა, ქალბატონი ნინო ქადაგიძე საქართველოში არ იმყოფება, ხოლო გიორგი ჟვანიამ ჩვენთან სატელეფონო საუბარში მხოლოდ ის თქვა, რომ გამოძიება ბოლო ეტაპზეა მისული, საქმის დეტალები ზუსტდება და შეიძლება სულაც ხვალ გამოცხადდეს საქმე გახსნილად, ან ერთი-ორი თვე კიდევ დასჭირდეს.

**„ჟვანიის საქმე რომ გაიხსნება, ამ ხელისუფლებას საბოლოოდ ჩამოეხსნება ნიღაბი და ეს ძალიან მალე მოხდება,“ —** განუცხადა ერთ- ერთ სააგენტოს ექსპრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და ამით პირდაპირ მიანიშნა იმ კვალზე, რომელიც ზურაბ ჟვანიას ყოფილ თანაგუნდელებთან მიდის. გერმანიიდან ახლახან დაბრუნებულმა პოლიტიკურმა დევნილმა ბიძინა გიორგობიანმაც დაადასტურა, რომ პრემიერს ბოლო დროს გართულებული ურთიერთობა ჰქონდა მაშინდელ ხელისუფლებაში მყოფ რამდენიმე პიროვნებასთან და მათ შორის პრეზიდენტთან. სააკაშვილი, მერაბიშვილი და ადეიშვილი ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საკითხზე დაიკითხებიან, — ამის შესახებ არაერთხელ განაცხადა გიორგი ჟვანიამაც. მისი თქმით, ყოფილი მთავრობა და მათ შორის, მიხეილ სააკაშვილი პირადად აყალბებდა საქმის მასალებს, რის გამოც დღეს გამოძიებას ხელი ეშლება.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან რვა წელიწადი გავიდა. ოფიციალური ვერსიით, 2005 წლის 3 თებერვალს, გამთენიისას, საბურთალოს ქუჩის 53 ნომერში მდებარე კერძო ბინაში, რომელიც მოქალაქე ეკა კიკიანს ეკუთვნის, პრემიერის დაცვის წევრებმა ზურაბ ჟვანიასა და ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილის რაულ უსუპოვის ცხედრები აღმოაჩინეს. გამოძიება დაწყებულიც კი არ იყო, როცა დილითვე მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა სიკვდილის მიზეზად ბინაში არასწორად დამონტაჟებული ირანული გამათბობელი და გაზით მოწამვლა დაასახელა. ამის მიუხედავად, პროკურატურამ გამოძიების დასრულება და საქმის დახურვა ჯერაც ვერ შეძლო. ჟვანიას ოჯახის წევრები ოფიციალურ ვერსიას თავიდანვე არ ეთანხმებოდნენ და დღესაც ფიქრობენ, რომ ეს უბედური შემთხვევა კი არა, მკვლელობა იყო. გიორგი ჟვანია ამბობს, რომ პრემიერი სხვაგან მოკლეს და შემდეგ მისი ცხედარი საბურთალოს ქუჩაზე მიიტანეს, ძმის სიკვდილში ის წინა მთავრობის წევრებსა და თავად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ადანაშაულებს. **ბინაში მიიტანეს საკვები, ბორჯომი, კონიაკი და უბედური შემთხვევის სცენა დადგეს. ამას პირადად მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა და ბარამიძეც ამაში მონაწილეობდა, — ამბობს ის.**

* * *

მოძრაობა „თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა განაცხადა, რომ გაავრცელებდა აუდიოჩანაწერს, რომლიც ჟვანიას სიკვდილში, ხელისუფლების ბრალეულობას დაადასტურებდა. ის ირწმუნებოდა რომ, მან პირადად მოუსმინა ჩანაწერს, სადაც ისმის, თუ როგორ გეგმავენ მიხეილ სააკაშვილი და კიდევ რამდენიმე ადამიანი ჟვანიას მოკვლის სცენას. თავად დანაშაული დაიგეგმა და შესრულდა შავნაბადაზე, ამბობდა ის, ჯერ კიდევ ძველი ხელისუფლების პერიოდში, როცა ეს თემა, ასე ვთქვათ, ტაბუდადებულად ითვლებოდა. **„არსებობს ქალბატონი, რომელიც იმ ღამეს სტუმრად იყო იმ კორპუსში. როცა ის და კიდევ ერთი ქალბატონი ქუჩაში გამოვიდნენ, დაინახეს ეს სცენა. ისინი ამბობენ, რომ იქ ადამიანი გარდაცვლილი შეიტანეს. იმასაც კი ამბობენ, რომ მეორე პიროვნება, მათი სიტყვებით, იყო პრაქტიკულად ცოცხალი, ფეხით მიჰყავდათ, უსუპოვზეა საუბარი. მეორე დღეს ტელევიზიით გაიგეს პრემიერის გარდაცვალების ამბავი და ის ქალბატონი იმავე დღეს „გაიპარა“. ის ამბობს, რომ დაინახეს, რადგან მისთვის თვალიც კი გაუყოლებიათ. მიხვდნენ, რომ დაიჭერდნენ და მოკლავდნენ. ამიტომ იმავე დღეს გაიქცნენ ირლანდიაში,“ —** ამბობს შაშიაშვილი.

ამ საკითხთან დაკავშირებით მამა ელიზბარ დიაკონიძემაც პროკურატურას ჩვენება უკვე მისცა. ის ადასტურებს ქალბატონ ნათელა მოდებაძის არსებობას, რომელმაც დაინახა, თუ როგორ შეიტანეს ჟვანიას და უსუპოვის ცხედრები საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში. არსებობს მეორე ადამიანიც, რომელიც ადასტურებს რომ ჟვანია მოკლეს კაბინეტში, სადაც რამდენიმე ადამიანი იმყოფებოდა, ესენი იყვნენ: გიორგი ბარამიძე, მიშა მაჭავარიანი და თავად ჟვანია“, — აცხადებს მამა ელიზბარი. ამ ვერსიას ემხრობა ვალერი გელბახიანი, რომელმაც პრესაში არაერთხელ აღნიშნა, რომ ჟვანია შავნაბადაზე მოკლეს და ამის შესახებ მას ბადრი პატარკაციშვილმა უამბო. **„ღამის სამ საათზე სააკაშვილის რეზიდენციაში შეიკრიბნენ, რათა განეხილათ იმ 50 მილიონის ბედი, რომელიც საზღვაო - სანაოსნოს გაყიდვიდან მიიღეს. თანხა ბიუჯეტში არ ჩაირიცხა და ეჭვი ქონდათ, რომ იგი ზურაბ ჟვანიამ სხვადასხვა ანგარიშებზე ჩარიცხა, ფიქრობდნენ, რომ ჟვანიამ ეს ფული „მოტეხა“ და სწორედ ამის გასარკვევად შეიკრიბნენ. დაიწყეს კამათი, სააკაშვილმა ჟვანიას დედა შეაგინა, რაზეც ჟვანიამაც გინებით უპასუხა. ამის შემდეგ სააკაშვილმა მას რკინის საფერფლე ესროლა, რომელიც საფეთქელში მოხვდა და ადგილზე გარდაიცვალა. მარჯვენა მხარეს დაზიანების კვალიც ეტყობოდა. ამის შემდეგ 4- 5 საათზე მერაბიშვილმა დაურეკა ბარამიძეს, ჟვანია გარდაიცვალაო, ბარამიძე იმწუთას შავნაბადასკენ გაემართა, რადგან ჟვანია იქ ეგულებოდა, თუმცა გზიდან მოაბრუნეს, —** ასეთია გელბახიანის ვერსია.

პროკურატურასთან თანამშრომლობს ჟვანიას თანაგუნდელი და ახლო მეგობარი ხათუნა ხოფერია, რომელიც ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა პირადად აღიარა, თუ როგორ მოგუდა მან პრემიერი და მერე როგორ ტრაბახობდა, ამ ხელებით მოვახრჩეო. ამის შესახებ გიორგი ჟვანიამაც ისაუბრა.

* * *

შეიძლებოდა თუ არა სიმართლის დასადგენად ბრძოლა უფრო აქტიური ყოფილიყო მაშინვე, წინა ხელისუფლების პირობებში? ნინო ქადაგიძე ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: **ბრძოლის გაგრძელებისგან იმიტომაც შევიკავეთ თავი, რომ იმ ხალხს, ვინც ამაში ეჭვმიტანილები იყვნენ, ხელისუფლება მფარველობდა. ამ ხელისუფლების პირობებში არც დაკითხვა ჩატარდებოდა სწორად, არც მოკვლევა და არც არაფერი. მე ან უნდა სასწორზე დამედო ჩემი და ჩემი შვილების სიცოცხლე და დამეწყო ბრძოლა რეჟიმის წინააღმდეგ, ან მეზრუნა ბავშვებზე და გამეზარდა ისინი. ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე. სულ მგონია, რომ ზურა თავის თავს თვითონ დაიცავს. ისეთი მადლიერი ვარ ქართველი საზოგადოების, მიუხედავად უამრავი სიბინძურისა და ცილისწამებისა, რაც ზურაზე გაავრცელეს, საზოგადოებამ ეს არც დაიჯერა და არც გაიზიარა. მე და ჩემი შვილები დიდი სიყვარულით ვართ გარემოცულნი.“**

ზურაბ ჟვანია მართლაც გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა იყო, ამიტომაც დიდია ინტერესი. მით უფრო, როცა ამ თემით დაიწყო აპელირება ჯერ კიდევ საფრანგეთში მყოფმა ირაკლი ოქრუაშვილმაც, ის საზოგადოებას დაჰპირდა, რომ ამ საქმეს ფარდას ახდიდა, თუმცა, ბოლოს უარყო თავისი პირვანდელი სიტყვები, რომ ჟვანია მოკლეს და აღნიშნა: **„მე ვთვლი, რომ ეს მკვლელობა არ იყო.“** ამაში ლოგიკას ხედავს სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ამბობს, რომ ჟვანია წინასწარგანზრახვით არ მოუკლავთ, მაგრამ შემოაკვდათ...

...რვა წელიწადია, ამ ვერსიებს არსებობის უფლება აქვთ, მაგრამ წინა ხელისუფლებას ერთხელ არ უცდია ეს საკითხი წინ წამოეწია. მით უფრო, მიხეილ სააკაშვილს არასოდეს გაუკეთებია კომენტარი. სხვა თუ არაფერი, პრემიერისა და მასთან ერთად გარდაცვლილი რაულ უსუპოვის ოჯახის წევრების თანაგრძნობის ნიშნად მაინც შეეძლო საჯაროდ გამოეხატა საქმის დეტალების გამოძიებით დაინტერესება. უცნაურია, მთელი რვა წელიწადი რა უშლიდა ხელს პროკურატურას „ჟვანიას საქმის“ დასკვნა დაედო?!

**თეა მოსია**

## ალიან-ჩალიანი

# ვინ გადაიყვანა ბედუკაძე ბელგიაში?



**ყოფილი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე საქართველოს მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს მიმართავს. ლორთქიფანიძემ მიმართვა „ფეისბუქში“, საკუთარ გვერდზე გაავრცელა.**

**— ამ თვეების განმავლობაში ყურადღებით ვაკვირდებოდი ციხის კადრებთან დაკავშირებული მოვლენების განვითარებას — თუ ვინ, როდის, ვისი დაკვეთით თუ თხოვნით, ვისი დახმარებით, რა ვითარებაში, დროის რა მანძილზე, რა მოტივით, იღებდა, გამოჰქონდა, ვის აძლევდა და რატომ აღნიშნულ მტკიცებულებებს. არცერთხელ ამ საქმესთან დაკავშირებით არ გამიკეთებია კომენტარი და დღეს, როდესაც გარკვეული ინფორმაცია დაგროვდა, მინდა, ყურადღება გავამახვილო ერთ, არცთუ უმნიშვნელო გარემოებაზე. როგორც ცნობილია, ლადო ბედუკაძემ მაშინ თავი ბელგიას შეაფარა, ბელგიაში ლეგალურად მოსახვედრად კი შენგენის შეთანხმების ხელმომწერ სახელმწიფოთაგან ერთ-ერთის ვიზა მაინც არის საჭირო, ვიზის მიღება კი, შესაბამისი აპლიკაციის შევსებისა და საკონსულო წარმომადგენლობაში გასაუბრების გავლის შედეგად არის შესაძლებელი. მიუხედავად დაპირებული გამარტივებული სავიზო რეჟიმისა, ევროკავშირში შეღწევა მრავალი ჩვენი თანამოქალაქისთვის ოცნებად რჩება!.. როგორც ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით ირკვევა, ლადო ბედუკაძეს არც აპლიკაცია შეუვსია და არც ანკარაში გამგზავრებულა სლოვენიის ვიზის მისაღებად, მას გამოართვეს პასპორტი და გარკვეულ ხანში დაუბრუნეს ვიზაჩარტყმული, რაც იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც სახელმწიფო სამსახურის პროტოკოლი ერთვება საქმეში! ბუნებრივია ისმის კითხვა, ვის ინტერესებში იყო ბედუკაძის ქვეყნიდან წასვლა? ვინ გამოართვა ბედუკაძეს პასპორტი სლოვენიის ვიზის მისაღებად? ვისი ოფიციალური წარდგინებით შევიდა სლოვენიის საკონსულო წარმომადგენლობაში ბედუკაძის პასპორტი? — წერს დიმიტრი ლორთქიფანიძე.**



**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ნერვებს რად გვიშლი, მიშაო!

# „კოჰაბიტირებულები ვიყავით და მაინც არ გვალაპარაკეს სააკაშვილს“...



**ვადაგასულმა სააკაშვილმა რეგიონებში ჩასვლას ისევ მოუხშირა. თუმცა ამჯერად მისი ვოიაჟები თავსატეხად იქცა სამართალდამცავებისთვის, რომლებსაც მოსახლეობასა და პრეზიდენტს შორის გამშველებლის ფუნქცია ეკისრებათ. ახლაც სამეგრელოში ვიზიტისას ერთ-ერთმა ქალბატონმა პრეზიდენტის ესკორტს კვერცხი ესროლა, თუმცა ააცილა და სხვა მანქანას მოარტყა. ამის მიუხედავად, მეგრელი ქალბატონი დალი ლატარია აცხადებს, რომ მომავალში აბაშისწყალთან დახვდებიან პრეზიდენტს და არ მისცემენ უფლებას, ქუჩა-ქუჩა არბენინოს პროტესტანტები.**

მართალია, დალი ლატარია ირწმუნება, რომ მან არ იცის, მის მიერ ნასროლი კვერცხი ვის მოხვდა, მაგრამ აცხადებს, რომ პროტესტის ეს ფორმა ყველა ქვეყანაშია მიღებული და საქართველო გამონაკლისი არ არის.

თუ რატომ გადაწყვიტა დალი ლატარიამ კვერცხის სროლა, ამის მიზეზი 2005 წლის 20 ნოემბერს იღებს სათავეს. კერძოდ, პრეზიდენტის უთავბოლო ვოიაჟების გამო დალი ლატარია და მისი თანმხლები რამდენიმე ქალბატონი წლების წინ ქუთაისში გამოამწყვდია სააკაშვილმა კონსპირაციულ სახლში. ამიტომაც დღეს მასთან შეხვედრა სურდა, რათა ეკითხა, რატომ აყალიბებდა იგი საეჭვო რაზმებს და რატომ გამოამწყვდია ერთ-ერთ სახლში?! თუმცა სამართალდამცავებმა იგი პრეზიდენტამდე არ მიუშვეს. მანაც კვერცხის სროლით სცადა ყურადღების მიპყრობა.

**„ვადაგასული პრეზიდენტია, რომელსაც არსად არ მიესვლება და ღობე-ყორე დაეთრევა“,** — განაცხადა ლატარიამ.

დალი ლატარია ერთადერთი არ იყო, ვინც სააკაშვილს ხმაურით დახვდა. როგორც კი დაჭრილი პოლიციელის მონახულების შემდეგ პრეზიდენტი სოფელ ნარაზენში გაემართა, სოფლის ცენტრში მას ორგანიზაცია „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი კახა მიქაია რამდენიმე აქტივისტთან ერთად შეეგება. აქტივისტები გზის იმ ნაწილის გადაკეტვას ცდილობდნენ, სადაც სააკაშვილს უნდა გაევლო. სწორედ ამ დროს მოხდა კვერცხის სროლა მისი ესკორტისთვის.

***სამეგრელოში სააკაშვილის ვიზიტთან დაკავშირებით For.ge კახა მიქაიას ესაუბრა.***

**— მაინც რა მოხდა ნარაზენში და რატომ ვერ მოახერხეთ სააკაშვილთან შეხვედრა?**

— გაიქცა პრეზიდენტი, ხალხთან შეხვედრის შეეშინდა, 15-კაციანი შეხვედრა მოაწყო იმ სახლში. იგი მიჩვეულია წინასწარ დაგეგმილ შეხვედრებს და ვერ იტანს ალტერნატიულ აზრს, პოლემიკას, ამიტომ შეეშინდა საზოგადოების წევრებთან შეხვედრის და გაიქცა. საოცრება ის იყო, რომ მოვიდა მანქანით და გაიქცა თვიმფრინავით. პოლიციამ არ მიგვიშვა სააკაშვილთან სალაპარაკოდ. გამოიძახეს სპეცრაზმი, მთელი სამხარეო პოლიცია მობილიზებული იყო. ჩვენ მასთან შეხვედრა გვინდოდა, რადგან ვართ კოჰაბიტირებულები. ვიფიქრეთ, მოდი, ახლა მაინც შევხვდეთ-თქო პრეზიდენტს და ამ დროს სააკაშვილი გაიქცა.

**— კითხვების დასმა გინდოდათ პრეზიდენტისთვის?**

— რა თქმა უნდა, გუნავა და პრეზიდენტი რომ გვიწოდებდნენ, კრიმინალებიო, ამ დროს კრიმინალები თვითონ არიან. საზოგადოება კრიმინალი არ არის, კრიმინალი იყო წინანდელი ხელისუფლება. სწორედ კრიმინალებს ეშინიათ საზოგადოებისგან წამოსული კითხვების, საზოგადოების რისხვის. ამიტომ გაიქცა მიშიკო ზუგდიდიდან. იმდენი კითხვა გვქონდა მასთან, For.ge კი არა, ვერც ერთი საიტი ვერ დაიტევს. მთავარი კითხვა ასეთი იყო, რატომ შექმნა მიხეილ სააკაშვილმა ზონდერბრიგადები, რატომ არბევდა ხალხს? 26 მაისს რა გააკეთა? 7 ნოემბერს რა ჩაიდინა? ვინ იყო მეგის ქარდავა? ვინ არის გუნავა? რატომ აწამებდნენ ხალხს და აყალბებდნენ არჩევნებს?

**— კვერცხიც ამიტომ ესროლეს?**

— დიახ, კვერცხი დალი ლატარიამ ესროლა ესკორტს. ის არ მალავს ამას და ამიტომაც დააკისრეს ასლარიანი ჯარიმა. ამით მან პროტესტი გამოხატა, რადგან თავის დროზე 24 საათი აყურყუტეს სადღაც სახლში, პირდაპირი მნიშვნელობით, დაიჭირა პრეზიდენტმა, მისი ბრძანებით მოხდა ეს და დღემდე არ იცის დალიმ, რატომ დაიჭირა პრეზიდენტმა.

**— ადგილობრივის ოჯახში რომ გამართა შეხვედრა? როგორც ჩანს, სამეგრელოში მას მაინც ჰყავს თანამოაზრეები.**

— უბრძანეს იმ ოჯახს და რა ექნათ?! იმ ოჯახის პატრონს გუბერნიის ქვემოთ სასადილო აქვს გახსნილი და ასეთ ოჯახში მიიყვანეს. თანაც, არ უნდოდა საწყალს და ძალით მიუყვანეს პრეზიდენტი.

**— კი მაგრამ, იგი, როგორც სააკაშვილის მასპინძელი, მისდამი დადებით დამოკიდებულებას გამოხატავდა. ესეც დადგმული იყო?**

— რა თქმა უნდა, მიშას სპექტაკლების დადგმის მეტი არაფერი უკეთებია ამქვეყნად. ამიტომ არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ სასადილოს გამგეს ათქმევინეს, მიშა მაგარიაო.

**— თუ გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილი პერიოდულად სტუმრობს სამეგრელოს, ეტყობა, მეგრელებში გარკვეული დასაყრდენი მაინც აქვს.**

— ნახა მიხეილ სააკაშვილმა, რა დასაყრდენი აქვს სამეგრელოში. სააკაშვილს მარტო გუნავა და გუბერნია უჭერს მხარს, ასევე — საკრებულო.

**— თუ კიდევ ჩამოვა სააკაშვილი სამეგრელოში, რა განწყობით დახვდებით?**

— რაც არ უნდა გაძვირდეს კვერცხი ზუგდიდის ბაზარში, ჩვენ მაინც სააკაშვილს კვერცხებით დავხვდებით.

**მანანა ნოზაძე**

სატარიფო ომი

# ჩიქოვანი და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია მხოლოდ ლამაზი თვალებისთვის არ გაირჯებოდნენ

**წინა ხელისუფლებას წესად ჰქონდა მისთვის სასურველი და მისაღები კომპანიებისათვის როგორც ფინანსური ასევე საკანონმდებლო შეღავათების მინიჭება. ამაში თავისი წვლილი შეჰქონდა საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასაც.**



ამ ორგანოს 2010 წლის 21 მაისის დადგენილებით, ურთიერთჩართვის ტარიფები ამგვარად განისაზღვრა: **„მაგთის“ და „ჯეოსელს“ „ბილაინისათვის“ ქსელში ჩასართველად უნდა გადაეხადა 14,8 თეთრი, „ბილაინს“ კი იგივე მომსახურებისათვის მხოლოდ 8 თეთრი, 6,8-თეთრიანი განსხვავება დასახელდა მოტივად, როგორც „ბილაინის“, როგორც ბაზრის ახალი მოთამაშისათვის შეღავათების დასაწესებლად.**

2011 წელს, როდესაც „ბილაინმა“ მისთვის კანონით განსაზღვრულ გარკვეულ შეღავათების ზღვარს გადააცილა მარეგულირებელმა ეს თითქოს ვერ შეამჩნია, არ დათვალა „ბილაინის“ აბონენტები და არ აღიარა ბაზარზე მნიშვნელოვან მოთამაშედ. ჩიქოვანმა და მისმა კომისიამ არ გადახედა სატარიფო პოლიტიკას და ურთიერთჩართვის ტარიფი არ შეცვალა. კომისია ამ საკითხს მხოლოდ 2011 წლის ნოემბერში შეეხო და მისი ამოქმედება 2012 წლის თებერვლამდე გადადო, რასაც ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია (აფბა) სამსახურებრივ გულგრილობად მიიჩნევს. ამგვარი ქმედებებით მარეგულირებელი ეროვნული კომისია, ხელს უწყობდა „მაგთისა“ და „ჯეოსელის“ მიერ „ბილაინის“ სუბსიდირებას, სუბსიდირების ამგვარი ფორმა კი მოქმედი კანონმდებლობით აკრძალულია.

**მიუხედავად შეტანილი ცვლილებებისა, „ბილაინი“ მაინც მოგებული დარჩა. დღეისათვის „მაგთი“ და „ჯეოსელი“ ქსელში ჩართვისათვის „ბილაინს“ 11 თეთრს უხდიან, ეს უკანასკნელი კი იგივე მომსახურებისათვის მხოლოდ 8 თეთრს იხდის. ის, რომ ჩიქოვანს და მის „მარეგულირებელ“ ორგანოს „ბილაინში“ კერძო ინტერესები ამოძრავებდათ. აფბა-ს მიერ გამოქვეყნებული უცხოეთის ურთიერთჩართვის მაგალითები მოჰყავს. რუმინეთში, სლოვაკეთში, დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, დანიაში ურთიერთჩართვის ტარიფებს შორის განსხვავება არაა. გერმანიაში სხვაობა 0,06 თეთრია, თურქეთში 0,7 თეთრია. ბელგიასა და ესპანეთში — 1,1 თეთრი.**

აფბა-ს მიაჩნია, რომ ეს ფაქტი შესაბამისი ორგანოების ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს. ახალგაზრდა ფინანსისტები და ბიზნესმენები თვლიან, რომ კომუნიკაციების სფერო, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და სპეციფიკური დარგი, რეგულირებას ექვემდებარება, რათა ბაზარზე ადგილი არ ჰქონდეს ბაზარზე შეზღუდვებს და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. ეს უნდა დაარეგულიროს მარეგულირებელმა კომისიამ. ის კი ნაცვლად ამისა, კანონმდებლობის უხეში დარღვევებით, ხელს უშლის ამ პროცესს.

**ამის გამო ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ თხოვნით მიმართა მთავარ პროკურატურას, შეისწავლოს საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობა.**

**ცხადია, რომ ჩიქოვანი და მისი უწყება კანონსაწინააღმდეგო დარღვევებსა და შეღავათებზე მხოლოდ ლამაზი თვალების გამო არ მიდიოდნენ. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, მარეგულირებელს სხვა ბევრი უკანონობაც ექნება ჩადენილი. ამის გამოა, რომ ჩიქოვანი შვებულებაში გავიდა, საზღვარგარეთ წავიდა და უკან აღარ ჩამოდის.**

**ზაზა ბილიხოძე**

ინფორმაცია

## გივი თარგამაძეზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა



**რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა გივი თარგამაძე ბრალდებულად ცნო და მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა, — ამის შესახებ სააგენტო „ინტერფაქსი“ იუწყება.**

**საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენლის ვლადიმერ მარკინის ინფორმაციით, თარგამაძეს ბრალად ედება რუსეთის ტერიტორიაზე მასობრივი არეულობის ორგანიზება „მემარცხენე ფრონტის“ ლიდერ სერგეი უდალცოვთან და მის თანაშემწე ლეონიდ რაზვოზჟაევთან კოორდინაციით.**

**— რუსეთის საგარეო უწყებიდან მივიღეთ ოფიციალური პასუხი, რომ თარგამაძე არ სარგებლობს რაიმე სახის იმუნიტეტით სისხლის სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, — განაცხადა მარკინმა.**

**უახლოეს მომავალში რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი თარგამაძის წინასწარ პატიმრობაზე იშუამდგომლებს.**

**გამოძიების ვერსიით, რუსი ოპოზიციონერები სერგეი უდალცოვი, ლეონიდ რაზვოზჟაევი და კონსტანტინე ლებედევი გივი თარგამაძეს არეულობების დაფინანსებაზე შეუთანხმდნენ. მათივე განმარტებით, შეხვედრა 2012 წლის ივნისში შედგა.**

**მათი საუბარი, რომელიც ფარული კამერით არის გადაღებული, გადაცემა „პროტესტის ანატომიაში“ აჩვენეს. გამოძიებამ ჩანაწერი სარწმუნოდ მიიჩნია, თარგამაძე კი ირწმუნებოდა, რომ რუს ოპოზიციონერებს არ იცნობს. რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ინფორმაციით, გივი თარგამაძე 6 მაისს „ბალოტნაიას მოედანზე“„ პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის შეტაკებების ორგანიზებაში „კონკრეტულ როლს“ ასრულებდა. რუსეთში მასობრივი არეულობის ორგანიზება და „ბალოტნაიას საქმე“ ამ ეტაპზე გაერთიანებულია. საქმეში 20-ზე მეტი ადამიანი ფიგურირებს.**

## ლიახვის მიმართულებით რეგულირება შესაძლებელი იქნება

**თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 85-ე კმ-ზე, მდინარე ლიახვზე სარეგულაციო რკინაბეტონის კედლების მოწყობა მიმდინარეობს.**

**როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან იტყობინებიან, სარეგულაციო კედლის დანიშნულებაა მდინარის მიმართულების რეგულირება, რათა წყალდიდობის შემთხვევაში ხიდი-ესტაკადის ბურჯები გამორეცხვისგან დაიცვას. რკინა-ბეტონის კედლის საერთო სიგრძე 315მ-ს, ხოლო სიმაღლე — 5მ-ს შეადგენს. კედლის გაგრძელებაზე, ორივე მხარეს ნაპირები ტეტრაპოდებისა და ლოდების ნაყარით (საერთო სიგრძით 170 გრძ.მ) მაგრდება.**

**მდინარის მარცხენა სანაპიროზე დასასრულს უახლოვდება რკინა-ბეტონისა და ბეტონის ხიმინჯების მოწყობა. მიმდინარეობს ხიმინჯების გამაერთიანებელი რკინა- ბეტონის ფილების მოწყობისა და დაბეტონების სამუშაოები. ასევე, დაწყებულია რკინა-ბეტონის კედლის არმირების, ყალიბების მოწყობისა და ბეტონირების სამუშაოები. მშენებლობა 2012 წლის დეკემბერში დაიწყო და აპრილის ბოლოს დასრულდება.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს აღმავალი სიდიდე – ბიძინა ივანიშვილი



2012 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებულმა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგებმა დააფიქსირეს პოლიტიკური კოალიციის „ქართული ოცნების“ გამარჯვება. შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ არჩევნების შედეგებს აქვთ ამიერკავკასიის ისტორიისთვის უპრეცედენტო ხასიათი, ვინაიდან ერთ-ერთ რეგიონალურ სახელმწიფოში ხელისუფლება პირველად გადავიდა ოპოზიციური პარტიის ხელში დემოკრატიული არჩევნების შედეგად.

როდესაც გაიმარჯვა არჩევნებში, როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული სისტემით, ოპოზიციურმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ მოაგროვა ამომრჩეველთა ხმების 54,97 პროცენტი. ამ დროს მმართველმა პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შეძლო, მიეღო ხმების მხოლოდ 40,34 პროცენტი. ამრიგად, საქართველოს ახალ 150-ადგილიან პარლამენტში წარმომადგენლობის უფლება ოპოზიციური კოალიციის 85 დეპუტატმა მიიღო და მმართველი პარტიიდან კი 65 დეპუტატმა. როდესაც ქვეყნის მოსახლეობას მიმართავდა არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებისთანავე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციაში გადადისო.

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რომლის ერთ-ერთი ლიდერიც მიხეილ სააკაშვილი იყო, საქართველოსთვის ახალი პერიოდი დაიწყო. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ქართულმა დემოკრატიამ გაიარა მნიშვნელოვანი გზა და „ვარდების რევოლუციიდან“ საქართველომ მნიშვნელოვნად წაიწია წინ დემოკრატიული სისტემისკენ, რომელიც შეიძლება გახდეს ნიმუში ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებისთვის. როდესაც ამ ვითარებას მიაქცია ყურადღება, ბიძინა ივანიშვილმა არჩევნების შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართველმა ხალხმა ისტორიაში პირველად მიიღო მონაწილეობა ხელისუფლების შესვლის პროცესში თავისუფალი ნების გამოხატვის გზით, და ეს მოვლენა აუცილებლად შევა ქვეყნის ისტორიაში.

### „ვარდების რევოლუცია“ და სააკაშვილის მმართველობის მოკლე ისტორია

2004 წელს საქართველოში მოხდა ხელმძღვანელობის შეცვლა, რისი წინაპირობაც გახდა „ვარდების რევოლუცია“, რომელიც „არაბული გაზაფხულის“ ფორმას ჰგავდა. ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ სააკაშვილმა დაიწყო ხანმოკლე ვადებში ინოვაციური რეფორმები ეკონომიკასა და პოლიტიკურ სისტემაში და ცდილობდა, ქვეყანა ემართა ისე, რომ იგი გამხდარიყო ნიმუში სხვა რესპუბლიკებისთვის, რომლებიც გაჩნდნენ სსრ კავშირის დაშლის შემდეგ. მის მიერ ინიციირებული რეფორმების წყალობით იგი ამავე დროს ახორციელებდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას, რაც ორიენტირებული იყო ევროკავშირზე, ნატოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე. საკმაოდ ჩქარა დაამყარა მან მათთან კარგი ურთიერთობანი, უკვე შეიძლებოდა თვალყური გედევნებინა პროგრესისთვის საგარეო პოლიტიკის ევროატლანტიკური ღერძის მიმართულებით.

რუსეთი თავს არ იკავებდა გამოთქმებისგან იმის შესახებ, რომ განიცდის შეშფოთებას საქართველოს პოლიტიკის გამო ყველა დარგში. საერთაშორისო პლატფორმების უდიდეს უმრავლესობაზე რუსეთი აღნიშნავდა, რომ სააკაშვილი არის ამერიკის შეერთებული შტატების მარიონეტი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მიერ რეგიონში განხორციელებულ პროცესში ასრულებს პაიკის როლს. რომ მიეღო ქართველი ხალხის მხარდაჭერა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, სააკაშვილი იძლეოდა უამრავ დაპირებებს. მაგრამ, უეჭველია, ყველაზე ამაღელვებელი მათ შორის იყო განცხადება „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ“. თანაც, სააკაშვილის განზრახვა, გადაეჭრა ეს საკითხები, ისევე როგორც მექრთამეობა და შრომითი დასაქმება, წარმოგვიდგებოდა, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც უნდა გაეძლიერებინა სააკაშვილის უმაღლესი ხელისუფლება. მაგრამ ყველაფერი ისე როდი მოხდა, როგორც ქართველ ლიდერს სურდა. მისი მართვის ყველაზე ბრწყინვალე დღეები, რაც 2004-2007 წლებს ემთხვეოდა, შეიცვალა 2007-2012 წლებით, რომელთა განმავლობაშიც საქართველოს ხელმძღვანელობა განუხრელად კარგავდა საზოგადოებრივ ნდობას. უკანასკნელი წვეთი, რომელმაც აღავსო მოთმინების ფიალა, გახდა საქართველოს და რუსეთის შეიარაღებული კონფლიქტი 2008 წელს.

როდესაც ვაფასებთ რუსეთ-საქართველოს ომს, ჩვენი აზრით, ყურადღება უნდა მივაქციოთ მთელ რიგ მომენტებს. ერთ-ერთი მათგანია ომის დაწყების მიზეზი და ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ ორი სხვადასხვა თვალსაზრისი. არჩევნებამდე პატარა ჯგუფს მიაჩნდა, რომ ომი დაიწყო საქართველომ. მეორე ჯგუფს შეადგენდა სააკაშვილის მთავრობა და მისი გარემოცვა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ომი დაიწყო რუსეთმა. ამრიგად, რუსეთი და საქართველო ახმოვანებდნენ ერთსა და იმავე ბრალდებებს ერთიმეორის წინააღმდეგ. მაგრამ 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოს ახალ პრემიერ-მინისტრად არჩეულმა ბიძინა ივანიშვილმა ღიად განაცხადა, რომ ომის დაწყების მიზეზები იმალება სააკაშვილის მთავრობის შეცდომებში. ახალი პრემიერის ასეთი პოზიცია, სააკაშვილის მთავრობის პოზიციის საპირისპიროდ, გამაოგნებელი აღმოჩნდა ქართველი ხალხისთვის, ვინაიდან ომის დაწყებიდანვე საქართველოს ხელისუფლება აცხადებდა, რომ ეს ომი დაიწყო პროვოკაციებით რუსეთის მხრიდან.

### რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები და სააკაშვილის დაცემა

2008 წლის ომმა ძირს დასცა ქართული ეკონომიკა და ძველ სახელმწიფო ვალებს ახალი დაუმატა. პროდუქციის ექსპორტის შემცირება, ქართული საქონლისთვის რუსეთის ბაზრის დახურვა გახდა იმის მიზეზი, რომ განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა ეკონომიკური კრიზისი. სააკაშვილის მთავრობას სჭირდებოდა მთელი რიგი ზომების მიღება, რომ გამოეყვანა ეკონომიკა ამ მძიმე მდგომარეობიდან. იყო მცდელობა, ხანმოკლე პერსპექტივაში შეემცირებინათ კრიზისის გავლენა შემოსავლებით ტურიზმისგან. მოხდა ისეთი რეგიონების მოდერნიზაცია, როგორიცაა აჭარა და გუდაური, სადაც შეიქმნა ახალი საკურორტო ზონები საზაფხულო და ზამთრის ტურიზმისთვის. მაგრამ ტურიზმის განვითარებისთვის ასევე საჭირო იყო ქალაქებში ისტორიული ადგილების აღდგენა, ახალი გზების მშენებლობა, ახალი გასართობი ცენტრების გახსნა უცხოელებისთვის, ვისაც ექნებოდა სურვილი დაესვენა საქართველოში. ყოველივე ამის განხორციელებისთვის არსებობდა მხოლოდ ერთი გზა — გადასახადების გაზრდა, ვინაიდან ცხადი გახდა, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში, რომელიც მხოლოდ ახლახან გამოვიდა ომიდან, მეტად პრობლემატური იყო. აჭარაში სტარტი მიეცა ისეთ გიგანტურ პროექტებს, როგორებიცაა ახალი ქალაქების შექმნა, კერძოდ, ქალაქი ლაზიკისა. ამ პროექტებისთვის საჭირო ფულს აგროვებდნენ ღარიბი ქართველი ხალხის ხარჯზე. გასაგები იყო, რომ ეკონომიკის განვითარება და უცხოელი ტურისტების მოზიდვა ამ გზით — ეს არის რთული და გრძელი გზა. მთლიანად ხალხის ცხოვრება სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა.

### ვინ არის ბიძინა ივანიშვილი – საქართველოს აღმავალი სიდიდე?

ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს უკავია საქართველოში ყველაზე მდიდარი ადამიანის პოზიცია, რომლის ქონებაც 6,4 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ამავე დროს, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების რეიტინგში 2012 წელს მას 153-ე ადგილი ეკავა. ივანიშვილი, ვისაც მიაწერენ კომპანია „გაზპრომის“ აქციების ფლობას, რომელიც მსოფლიოს უდიდეს ენერგეტიკულ კომპლექსად ითვლება, თავისი ქონებით ვალშია რუსეთთან. ყოფილი ოპოზიციური ლიდერი და ახალი პრემიერ-მინისტრი, რომელმაც თავის ქონება რუსეთში დააგროვა, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ცნობილი გახდა 2011 წლიდან. ივანიშვილმა, რომელმაც 2011 წლის ბოლოს გაყიდა თავისი აქციების უმრავლესობა, განაცხადა, რომ აპირებს მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის არჩევნებში საქართველოში. ის მოკლე პერიოდში სათავეში ჩაუდგა ოპოზიციას ქვეყანაში. იგი ვინც პატივისცემა დაიმსახურა თავისი უანგარო დახმარებით მოსახლეობისთვის, საქართველოს საზოგადოებამ აღიქვა, როგორც იმედი მწვავე პრობლემების გადაჭრისთვის.

ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც მხარს უჭერს რუსეთი, აქვს ძალა და განზრახვა შეცვალოს ქვეყნის პესიმისტური სურათი, რაც მემკვიდრეობით სააკაშვილის მთავრობისგან მიიღო. რასაკვირველია, რუსეთის მეზობელმა საქართველომ უნდა განახორციელოს გონივრული პოლიტიკა რუსეთთან დაკავშირებით და არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან მისი მოქმედებები რეგიონში. გადაწყვეტილებათა მიღება ამ რეგიონში რუსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლად — არალოგიკური მიდგომაა. ამავე დროს ივანიშვილმა განაცხადა, რომ აქვს განზრახვა შეუერთდეს ნატოს და კვლავ გაჰყვეს კურსს უფრო ღრმა ინტეგრაციაზე დასავლეთთან. ნატოს დროშების არსებობა მისი მომხრეების მიტინგებზე — ეს არის აქტი, რომელიც ღიად გამოხატავს ქართველი ლიდერის მისწრაფებას ინტეგრაციისკენ. თუმცა, ეს ნაბიჯები აშკარად არ არის საკმარისი, რომ ვაჩვენოთ ივანიშვილის ჭეშმარიტი განზრახვა. ამომრჩეველთა ხმები, რაც ივანიშვილმა დააგროვა, შეიძლება შევაფასოთ, როგორც „მცურავი“, ვინაიდან მისი ელექტორატი, უწინარეს ყოვლისა, ხმას აძლევდა მთავრობის წინააღმდეგ. თავისი ხმები ივანიშვილს მისცეს იმ ამომრჩევლებმა, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სააკაშვილის არა საგარეო პოლიტიკის მიმართ (ანტირუსული პოლიტიკისა), არამედ ქვეყნის საშინაო პოლიტიკის მიმართ. იმისი ალბათობა, რომ რუსეთი, რომელმაც აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მოსახლეობას დაურიგა რუსეთის პასპორტები, უკან დაიხევს თავისი განცხადებიდან მათი დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით, უკიდურესად დაბალია. ამიტომ ვარაუდი იმის შესახებ, რომ საქართველოს რიგითი მოქალაქეები კვლავაც სიყვარულით იქნებიან განწყობილი რუსეთის მიმართ, ლოგიკურად არ გვეჩვენება. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ივანიშვილის „პროდასავლური“ განცხადებები გათვალისწინებულია საშინაო ელექტორატისთვის და მიმართულია მხარდაჭერის მიღებისკენ დასავლეთისგან.

იმის ვარაუდი, რომ დასავლეთი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაელოდება საქართველოს კურსის შესახებ საკითხის გადაჭრას, არ იქნებოდა სწორი. ამერიკაში არჩევნების დამთავრება გახდება საბაბი ამ ქვეყნის უფრო დიდი ინტერესისთვის საქართველოს საკითხისადმი. დასავლეთის პოლიტიკამ „რუსეთის საპირისპირო მოქმედებებთან დაკავშირებით“, რაც დაკავშირებულია ამ მისიის დაკისრებასთან საქართველოზე და რომელიც მარტოდ მარტო აღმოჩნდა ისეთი სახელმწიფოს პირისპირ, როგორიცაა რუსეთი, სრული ფიასკო განიცადა. მეორე მხრივ, რუსეთი არ ისურვებს, წააგოს ეს მარათონი და შეეცდება, არ დაკარგოს ივანიშვილი, ეფექტური გზებით მიიზიდოს იგი საკუთარი კურსისკენ. აზერბაიჯანი და თურქეთი გაზრდიან თავიანთ ინვესტიციებს საქართველოში და არ დაიშურებენ ძალისხმევას მასთან უფრო მეტი ინტეგრაციისთვის.

მომავალ წელს საქართველოს მიმართ გამოიჩენენ უფრო გაზრდილ ყურადღებას, ვინაიდან ამჟამად რუსეთს, დასავლეთს, რეგიონალურ ქვეყნებს, და უწინარეს ყოვლისა, აზერბაიჯანსა და თურქეთს აღელვებთ საკითხი: ვინ გახდება კავკასიისა და შუა აზიის გასაღების მფლობელი?

ULUSLARARASI POLITIKA AKADEMISI

თურქეთი

## დედამიწის ზურგზე




**ბრიტანეთის სამეფო ოჯახი ნაწყენი დარჩა ტაბლოიდის მიერ გადაღებული ფოტოს გამო, რომელზეც აღბეჭდილია ბურლუსკონი ფეხმძიმე კეით მიდლტონთან ერთად**

სურათებს, რომლებზეც ასახულია პრინცისა და ჰერცოგინიას სეირნობა ქვიშის ნაპირზე, ჟურნალისტებმა მიაწერეს: „მუცელი იზრდება“. იტალიელი ჟურნალისტები დარწმუნებული არიან, რომ ფოტოგრაფიებზე არაფერია სკანდალური. ეტყობა, ასევე იფიქრეს ბრიტანეთშიც, სადაც აჩვენეს ჟურნალის ყდა, შემდეგ კი გადაწყვიტეს ბოდიში მოეხადათ. ამ დროს სურათებს ინტერესით ყიდულობენ და ამზადებენ სხვა ქვეყნებში გამოსაქვეყნებლადაც.

* * *

**ვაშინგტონში „სანავთობო“ პროტესტზე დააკავეს ჰოლივუდელი მსახიობი ქალი და კენედის ძმისწული**



მსახიობი დერილ ჰანა და რობერტ კენედი-უმცროსი მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციაში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადას შორის ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებით, მოითხოვენ, რომ პრეზიდენტმა უარი თქვას მექსიკის ყურის გასწვრივ მშენებლობაზე და „მუშტებით“ იბრძოდნენ გლობალური გათბობის წინააღმდეგ. პოლიციას მათთვის ხელი არ უხლია, სანამ მომიტინგეები თეთრი სახლისკენ არ დაიძრნენ.

* * *

**ლიბანის აღდგენის ირანის კომიტეტის ხელმძღვანელი მოკლეს დამასკოდან ბეირუთისკენ მიმავალ გზაზე**



ჰისან ჰოშ ნოვეისი მოკლეს მას შემდეგ, რაც დატოვა დამასკოს საერთაშორისო აეროპორტი ავტომობილით უცნობ ირანელ თანამგზავრთან ერთად, რომელიც ასევე მოკლეს თავდასხმის შედეგად. ადრე ლიბანში დაიღუპა გენერალი ჰასან შატერი, ვინც „ჰესბოლას“ ეხმარებოდა.

* * *

**დონეცკთან ავიაკატასტროფაში გადარჩენილი ფანატები აცხადებენ, თუ რამ გადაარჩინა ისინი და როგორ იყო ეს: „თვითმფრინავი დაიშალა, როგორც კონსერვის ქილა“**

თვითმფრინავის ბორტზე მყოფი ფანატები დარწმუნებული არიან, რომ ისინი ვერ გადარჩებოდნენ, ხომალდი რომ არ დაშლილიყო ნაწილებად. მათი სიტყვებით, იმ მომენტში უკვე ცეცხლი გაუჩნდა ძრავას. ავარიის ვერსიად ასახელებენ ძრავის გაჩერებას, ცუდ მხედველობას და მძიმე დაშვებას.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## შეხვედრა ოცი წლის შემდეგ

# სამშობლოდან გაძევებული გურამ პეტრიაშვილი დიდი მეზღაპრის სახელით დაგვიბრუნდა


თეთრწვეროსანი გურამ პეტრიაშვილი.

**ავი დროის მდინარებას ვერ შეუცვლია გურამ პეტრიაშვილის ხასიათი. ისევ ის პირდაპირი და შემტევია, ისევ ისე ემოციებით სავსე და ირონიულია... რაც მთავარია, სული შერჩენია ქართული გურამს, იქაც, უცხოობაში, სწორედაც რომ ქართული სული დაატარებდა, უძლებდა, იტანდა სულიერ სიმარტოვეს, თითქოს ახლობლებში იყო, უკრაინაში იყო, „ცოლოურს“ იყო, მაგრამ, მაინც, „უცხოობაში რაა სიამე?“**

— ერთხელ, ავტობუსის გაჩერებაზე, ვიღაც შუახნის კაცი მეკითხება, სადაური ხარო? ქართველი-მეთქი... ოოო... მიყვარს ქართველები, გულითადი ხალხიაო, მეუბნება შინაურულად, გულწრფელად... გავდექი გვერზე, ამივარდა ტირილი და ვზლუქუნებდი ავტობუსის მოსვლამდე...

**სიზმრად საქართველოს**
**გულად მიძგერია,**
**ცხადში — სიმღერები**
**მისი მიმღერია...**
**მხოლოდ ერთი მინდა**
**და სხვა არაფერი:**
**ჩემი კოლხეთი და ჩემი იბერია!**

ეს ლექსი მისი „100 ლექსიდანაა“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოსცა „ინტელექტმა“, რისთვისაც დიდი მადლობელია გურამი გამომცემლობის დირექტორის კახმეგ კუდავასი და ყველა იმ თანამშრომლისა, რომლებიც ამ კრებულის გამოცემისთვის გაისარჯნენ და, ოცი წლის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებულ კაცს გულის სითბო დაახვედრეს.

ჩვენი ძველი მეგობრობის, ჩვენი დღევანდელი შეხვედრის აღსანიშნავად მჩუქნის ამ წიგნს გურამ პეტრიაშვილი და იმ წლებსა და დღეებს იგონებს, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას გვერდით რომ იდგა: — სადღაც ვკითხულობდი, ინტერნეტში, გოგა ხაინდრავას ლანძღავდნენ და თენგიზ კიტოვანი იცავდა, კაი ბიჭია, მეც მლანძღავენ, მაგრამ ცუდი ბიჭი ვარო?.. არადა, დაანგრია ქვეყანა!.. დამიჯერე, რა... ვიდრე არ აღდგება სამართლიანობა და ვიდრე თბილისის ომის წამომწყებნი თუ მონაწილენი ციხეში არ ჩაჯდებიან, არაფერი ჩვენ არ გვეშველება... რა გგონია, განაწილებული არიან ისინი სააკაშვილისა და ივანიშვილის ბანაკში და, ვითომ, სამართალს ეძებენ. ვერ იპოვიან, ჯერ უნდა აღიარონ, რომ ჭამეს დედიმისის და მერე ნახავს ქართველი ხალხი, ვინ ვინ არის... ახლა რომ ჩატარდეს რეფერენდუმი, ვინ არის ზვიადის მხარდამჭერი და ვინ არა, დამიჯერე, კიდევ უფრო მეტი ქართველი დაუჭერს მას მხარს... ეს დაადასტურა ზვიადის გადმოსვენებამ...

**— ერთგული კაცი გამოდექით, გურამ, რაც ადვილი არ არის... რატომ აირჩიეთ თავშესაფრად უკრაინა?..**

— ზოგმა წამკბინა, შენ უკრაინაში გადაბარგდი, რა გიჭირსო... კი არ გადავბარგდი, ავტომატით მომდევნდნენ და გავასწარი, ცხონებულმა ამირან კალაძემ ვერ გაასწრო და კიდეც დაცხრილეს ღმერთგაყიდულებმა!..

... როდესაც გროზნოში ვიყავით და სესია ჩავატარეთ, დამიძახა ზვიადმა და, რახან იცოდა, რომ ცოლი უკრაინელი მყავდა, დამნიშნა პრეზიდენტის სრულუფლებიან წარმომადგენლად უკრაინაში. ცხადია, ამ ქვეყანაში ახლაც ვითვლები საქართველოს პირველი პრეზიდენტის წარმომადგენლად. სხვათა შორის, კარგი ურთიერთობა გვქონდა მე და საქართველოს სრულუფლებიან ელჩს უკრაინაში გია ქათამაძეს — შესანიშნავ ქართველს, ნაღდ კაცსა და პატრიოტს. ერთხელ ვეუბნები, „სვეტები“ არ გიჩმახებენ, ვერელი ან ვაკელი რომ არ ხარ-მეთქი?.. მე გელათის ეზოში ვარ გაზრდილი, ჩემო ძმაოო, მითხრა. გია ძალიან დამეხმარა ჩემი არქივის ჩამოტანაში, მგონი, საკუთარი ხარჯებით გააკეთეს ეს, და არც გაუმხელია...

**— მდიდარი არქივი იქნება...**

— საკმაოდ... ეს ოცი წელიწადი რაღაც-რაღაცებს ვწერდი... ლექსები, ზღაპრები, ლიტერატურული წერილები, მოგონებებები... რამდენჯერმე თქვენს გაზეთში საინტერესო წერილები წავიკითხე სტალინზე. მე ვაგროვებდი, თუკი რაიმე იბეჭდებოდა ამ უდიდეს პიროვნებაზე უკრაინულ პრესაში უკრაინულად და რუსულად. ზოგი რამ შეიძლება დაიბეჭდოს კიდეც, რათა დაინახოს ყველამ. რა დეგენერატობაა შენს ქვეყანაში სტალინის ძეგლს რომ ანგრევ, თუმცა რა — ანგრევენ სააკაშვილები და ტიმოშენკოები, რადგან „სტალინური“ ცხოვრება მათ კეთილდღეობას, მათ მილიონებს ემუქრება. ტიმოშენკოს „გაზის პრინცესას“ ეძახდნენ, რომელმაც 8 მილიარდი დოლარი მოპარა უკრაინას... ხოლო თავიდან ფული პორნოფილმების ჩვენებით იშოვა. ტიმოშენკოში არ არის გრამი უკრაინული სისხლი... მაგის მამამთილია ტიმოშენკო...

**— გურამ, რაღაც-რაღაცებს ვწერდიო... ალბათ, ბეჭდავდით კიდეც...**

— ვბეჭდავდი...თუმცა, წერილებს, რადგან ლექსი და ზღაპარი არ დამიწერია სხვა ენაზე... საქართველოში მყავს ბევრი მოძულე, რომლებმაც ასეთი ხმაც კი გაავრცელეს ოთხმოცდაათიან წლებში, პეტრიაშვილი რუსულ ენას იმიტომ ებრძვის, სიტყვა არ იცის რუსულიო... შემიძლია დავამშვიდო ისინი, ჩვენს პირობაზე, რუსული ვიცი ბრწყინვალედ...

**— სიძულვილი ბოლო წლებში უნდა გენახათ ჩვენთან, კინაღამ პუშკინის ძეგლი აიღეს...**

— სირცხვილია... იმის გამო, რომ სააკაშვილი და პუტინი ვერ არიან ერთმანეთში კარგად, რა შუაშია აქ დიდი რუსული კულტურა?.. ვერც ერთი ერი ახლოსაც ვერ მივა იმასთან, რაც რუსებმა შექმნეს XIX საუკუნეში...


გურამ პეტრიაშვილი და მისი უმცროსი ქალიშვილი ირინე (რომელიც ახლა 29 წლისაა) ომარ გვასალიას ფილმში „ალყა“.

**— წიგნი თუ გამოეცით?..**

— თავიდან არ მიაქტიურია წიგნის გამოცემაზე... იქ არის ძალიან კარგი კაცი გრიცკო ხალიმონენკო...

**— ვიცნობ... სტუდენტების გაცვლა რომ დაიწყეს უნივერსიტეტებმა 1960-იან წლებში, ჩამოვიდა გრიცკო კიევიდან, შესანიშნავად დაეუფლა ქართულს და გაბრუნდა სამშობლოში...**

— მისი მეუღლე გამომცელობის დირექტორი იყო, დამირეკა ერთ დღეს, მოიტანე წიგნიო. მე ვუთხარი, სანამ არ დაინახავენ ჩემი ქცევით, როგორ მიყვარან უკრაინელები, მანამდე არ მინდა-მეთქი წიგნის გამოცემა. კარგა ხანი გავიდა. უკრაინაში გაიმართა „ევროკონი“ — ევროპულ ფანტასტთა გაერთიანება-კონკურსი, სადაც წარვადგინე ჩემი გრძელი მოთხრობა „ელისა და რარუს თავგადასავალი“ და ნომინაციაში 9+ ანუ 9 წლისა და უფრო ზევით ბავშვების ასაკის კონკურსში ჩემმა მოთხრობამ მიიღო პირველი პრემია... ამის შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი ჩემს შემოქმედებაზე და გამოვეცი კიდეც სამი წიგნი... სერგეი ხოდორკოვსკის — ძალიან კარგ კაცს — აქვს კერძო გამომცემლობა და მან გამოსცა სწორედ ეს — კონკურსში გამარჯვებული მოთხრობა (შესანიშნავად, უხვად დაასურათა მხატვარმა ვერა კრუტილინამ). სახელმწიფო გამომცემლობა „ვესელკამ“ გამოსცა ჩემი ხუთი ზღაპარი სათაურით „პატარა ქალაქის ზღაპრები“ (დაასურათა მხატვარმა დიმიტრი გარმაშმა), ამის შემდეგ, ლვოვის გამომცემლობა „სტარი ლევ“-მა გამოსცა ჩემი ზღაპრების დიდი კრებული „პატარა ქალაქის სასწაულები“ (მხატვარი მარინა შუტურმა), უკრაინიდან ჩემი გამომგზავრების წინა დღეს კიევის მთავარ საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა ჩემი კიდევ ერთი წიგნის წარდგენა. წიგნს ჰქვია „ბაბუა გურამის ზღაპრები“ (დაასურათა მხატვარმა დაშა რაკოვამ). როგორც ავტორმა, შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ულამაზესი წიგნი, რომელმაც დამსახურებულად დაიკავა უკრაინის წიგნების კონკურსზე (500-მდე გამომცემლობა) მეორე ადგილი (პირველი, როგორც წესია, აიღო რომელიღაც ისტორიულმა წიგნმა).

**— იგრძობს მათში მკითხველი საქართველოს?**

— ჩემს ზღაპრებში, ჩემს ლექსებში იშვიათადაა ეთნოგრაფიული სურათები, თუმცა, ქართველმა მკითხველმა შეიძლება შეიგრძნოს, რადგან მე მოვდივარ „წიქარადან“, „ჭინჭრაქადან“, ვაჟა-ფშაველას „სათაგურიდან“... რაც შეეხება ლექსებს, რომ არ ყოფილიყო აკაკის „ციცინათელა“, „ჭრელო პეპელა“, და, საერთოდ, აკაკი, მე არ დავწერდი ლექსებს...

**— როგორც კინორეჟისორმა, კინომსახიობმა, არ გააცანით თავი უკრაინელებს?**

— არ იცოდნენ არაფერი ჩემი კინომოღვაწეობის შესახებ, არადა, შეიძლება ითქვას, ამით გავიტანე თავი... გავამხილე, რომ კინოსარეჟისორო მქონდა დამთავრებული და ტელევიზიაში დავიწყე მუშაობა გადაცემების ციკლზე „კორინია“ („ფესვები“). 50-მდე გადაცემა გამოვიდა უკრაინულ კულტურაზე, კულტურის ღვაწლმოსილ ადამიანებზე... ეს ჩერნიგოვში იყო, მერე იქ მოვიდა ვიღაც ახალი დირექტორი, შეიძლება ითქვას, გამომაგდო და გადავედი კიევში, სადაც კინოსტუდია „უკრაინტელეფილმში“ გადავიღე ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომლებიც ჩამოვიტანე და თუ მოესურვებათ, შეიძლება ვაჩვენოთ კიდეც ქართველ მაყურებელს... ასევე, იქ არის საგანმანათლებლო ორგანიზაცია „პროსვიტა“. სწორედ „ამ პროსვიტაში“ გადავიღე ორი ფილმი ენის და, კერძოდ, უკრაინული ენის თაობაზე. არ მინდა, დავიწყო დიდი ტრაბახი, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო (თუნდაც იმათთვის, ვინც ჩემს სახელს აქილიკებდა და დღემდე დამცინავად იძახიან — „მოგელანდებით!“), რომ **უკრაინულ პრესაში მე მეძახიან XXI საუკუნის ოსკარ უაილდს (ასე დამარქვა ჩემმა მეგობარმა ივანე ანდრუსიაკმა), ხოლო მწერალმა ოქსანა ფირიაევამ დაწერა, რომ პეტრიაშვილი არის ჰანს ქრისტიან ადერსენის რეინკარნაცია (აღდგენა).**

**— ცხადია, მეტ-ნაკლებად იცოდით, რაც ხდებოდა აქ თქვენს სამშობლოში...**

— ვიცოდი, მაგრამ უნდა გაგახსენოთ ერთი კარგი, ანეკდოტის მსგავსი, მაგრამ მართალი ამბავი: რომელიღაც ორი დიდი რუსი მწერალი დიდხანს ლაპარაკობდა პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, მიმდინარე ციფრებზე და მერე ერთმა უთხრა, მომბეზრდა ამდენი ფანტაზიები, მოდი ახლა ვილაპარაკოთ რეალობაზე, მაგალითად, დონ კიხოტზეო... ასევე, ფანტაზიებს განეკუთვნება ყველაფერი, რაც ხდება ჩვენთან პოლიტიკაში, ეკონომიკაში... რეალობა კი არის ქართული სულის არსებობა. იმის მიხედვით, რაც მე ახლა ვიცი, საქართველოში ქართული სული ძალუმად ფეთქავს. მაგალითად, დიდ ქართველ მსახიობს ზინა კვერენჩხილაძეს დაუტოვებია წიგნი — „ჩემი ანტიგონე“, ესმა ონიანის ჩანაწერების წიგნი, რომლებიც უდიდესი ინტერესით წავიკითხე და ესმას ვუწოდე „ესმა დიდებული“... ანდა, ნუგზარ შატაიძის ბრწყინვალე მოთხრობა თუ გამოკვლევა პურზე წავიკითხე დიდი აღფრთოვანებით, ანდა დიდი ქართველი კაცის სულიკო ჟღენტის ქალიშვილის — ოლიკოს წიგნი ღირსეული მამის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ არის ერთ-ერთი საუკეთესო ჩემს ბიბლიოთეკაში. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, გამოსულა მერაბ კოსტავას წერილების კრებული, რომელშიც ჩანს დიდი პიროვნება, დიდი ფილოსოფოსი, ესთეტიკოსი და ჰუმანისტი მერაბ კოსტავა...

**— ახლახან გამოცემულ თქვენს „100 ლექსზე“ რას იტყვით?..**

— თუ გამოვიყენებთ სტუდენტურ ჟარგონს, ჩემს სამშობლოში მე გამიკეთეს დიდი „ნე ვიჟუ“, მაგრამ ამ „100 ლექსის“ მკითხველებს შემიძლია პირნათლად შევხედო თვალებში!

**— ვერ დაგიმალავთ და, ეს თეთრი წვერი ცოტა გაბერებეთ გურამ...**

— ეეე... ისედაც უკვე სამოცდაათისა ვარ... (იღიმება) კარგა ხნის წინათ, ერთ-ერთ მიტინგზე, მერაბ კოსტავა გამოდის და „ანგრევს“ იქაუროობას. ჩემს გვერდით მდგომ ცხონებულ ვახტანგ გურგენიძეს გადავულაპარაკე, როგორ მინდა, მერაბს ვგავდე-მეთქი... ჩაიცინა ვახტანგმა, მოუშვი წვერი და დაემგვანებიო... რა გგონიათ, მას შემდეგ წვერი მაქვს მოშვებული, რომელიც უკვე თოვლივით გათეთრდა ...

**— მთავარია ჯანმრთელად იყოთ... გული არ გაიტეხოთ...**

— ღმერთის ნებაა ყველაფერი...

* * *

როგორც, ნახეთ ძვირფასო მკითხველო, თავისი ნიჭი და უნარი უცხო ცის ქვეშაც გამოუვლენია გურამ პეტრიაშვილს. ცალკე სასაუბროა „100 ლექსი“. მასში სტრიქონ-სტრიქონ ჩანს ავტორის ოსტატობა, მისი დამოუკიდებულება ქართულ მხატვრულ სიტყვასთან. მოდით, ერთად წავიკითხოთ მისი ნატვრა:

**ჩხერიმელა მინდა ვიყო,**
**ზვირთში თევზი კრიალებდეს,**
**ხან გათოვდეს, ხან გაწვიმდეს,**
**მეხიც დაიგრიალებდეს.**
**თვალი ჩემი დამნახავი,**
**ინათებდეს, იალებდეს,**
**ჩემს პატარა ბონდის ხიდზე,**
**ჭრელი კაბა ფრიალებდეს.**

კრებულის შესავალში კრიტიკოსი ივანე ამირხანაშვილი წერს: **„მკითხველს ელის შეხვედრა საინტერესო, ორიგინალურ შემოქმედთან, რომელიც ამტკიცებს, რომ სანამ არსებობს პოეზია, მანამ იქნება სიცოცხლე, სიხარული და მშვენიერება“.**

სრული სიმართლეა!

**ვილენ მარდალეიშვილი**

№29. პარასკევი, 15 თებერვალი, 2013 წელი.

# სეისმურად არასაიმედო შენობათა რაოდენობა გაიზრდება!..



**ვესაუბრებით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გურამ გაბრიჩიძეს, რომელიც აკადემიაში ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის სწავლული მდივანიც გახლავთ.**

**ის მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში. ამ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას საბჭოთა კავშირის მასშტაბით ეკავა ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია — ჯერ ყველა განხრით კურირებდა სეისმომედეგ მშენებლობას, შემდეგ კი ცალკეულ მიმართულებებს — სატრანსპორტოს, ჰიდროტექნიკურსა და სხვ. ინსტიტუტი 1948 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, მოგვიანებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეცა, ხოლო 2010 წლიდან ფაქტობრივად გაუქმდა, როგორც სამეცნიერო დაწესებულება.**

**— ბატონო გურამ, მე ბევრი მსმენია თქვენი ინსტიტუტისა და მისი დამაარსებლის, შესანიშნავი მეცნიერისა და ინჟინრის, აკადემიკოს კირიაკ ზავრიევის შესახებ; ისიც ვიცი, რომ კირიაკ ზავრიევის აკადემიური პრემიის ლაურეატი ბრძანდებით, თავის დროზე „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყებოდა კიდევაც ამის თაობაზე.**

**ინსტიტუტმა თავის 60-წლიან ისტორიაში ბევრი რამ სასიკეთო გაუკეთა საბჭოთა ქვეყანას და მერე დამოუკიდებელ საქართველოს. თქვენ სწორედ დამოუკიდებლობის რთულ პერიოდში ხელმძღვანელობდით ინსტიტუტს 15 წლის მანძილზე. ეგებ გამოჰყოთ ის მთავარი ფუნქცია, ამგვარი პროფილის დაწესებულება რომ ასრულებდა და უნდა ასრულებდეს?**

— თვით დასახელებიდანაც ჩანს, რომ ინსტიტუტი მშენებლობის დარგს ემსახურება, კერძოდ, მშენებლობას სეისმურად აქტიურ რეგიონებში. ინსტიტუტზე დაკისრებულ ფართო ფუნქციად თუ მივიჩნევთ მოსახლეობის, შენობებისა და სხვა ფასეულობათა უსაფრთხოებას მიწისძვრებისას, მაშინ ამ უმნიშვნელოვანესი მისიის შესრულება მას მხოლოდ ერთი — სამშენებლო ნორმების დადგენის გზით შეუძლია, რაც ერთობ რთული ამოცანაა.

სეისმომედეგი მშენებლობის იდეოლოგია ემყარება, ერთის მხრივ, მათემატიკის, მექანიკის, ფიზიკის, სხვა ფუნდამენტურ მეცნიერებათა სფეროში მოპოვებულ უახლეს დასკვნებს, მეორეს მხრივ კი მომხდარ მიწისძვრათა შედეგების ინჟინრულ ანალიზს. ასეთი კომპლექსური შეჯერების საფუძველზე ყალიბდება გარკვეული შეხედულებები, რომლებიც სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებში რეალიზდება.

საქართველოში სეისმომედეგი მშენებლობის თავდაპირველი — საკავშირო ნორმები გასული საუკუნის 30 წლებიდან ამოქმედდა და შემდეგ პერიოდულად განახლდებოდა ხოლმე. იმ საკავშირო ნორმების პირველი რედაქცია ფაქტობრივად საქართველოში შეიქმნა და მომდევნოებიც ჩვენი ინსტიტუტის მონაწილეობით ან სულაც კურირებით მუშავდებოდა.

თქვენ აღნიშნეთ, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა მომიწია რთულ დროს, როცა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. უდიდესი იყო პასუხისმგებლობის გრძნობა — ინსტიტუტმა დაიწყო ახალ რეალობაში თავისი ადგილის ძიება და იკისრა უმთავრესი მოვალეობა — ეროვნული სამშენებლო ნორმების შემუშავების ინიცირება და პრაქტიკული ჩამოყალიბება.

1991 წელს, რაჭის დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ, დაგვევალა სეისმომედეგი მშენებლობის ეროვნული ნორმების შექმნა. ინსტიტუტმა ნორმების სამი რედაქცია დაამუშავა, რომელთაგან ბოლო დღეს მოქმედი ოფიციალური ნორმებია „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09).

ეროვნული ნორმების ყველა ვარიანტი ჩემი ხელმძღვანელობითა და რედაქტირებით მომზადდა.

ეკონომიკის სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტმა გარე რეცენზირებაც ჩაუტარა დამატებით ამ ნორმებს და საკმაოდ მკაცრი რევიზიაც განახორციელა — არაერთი პუნქტი, რომლებიც საბჭოთადროინდელ შეზღუდვებს ეხებოდა, შემაცვლევინა, ან ამომაღებინა. ოფიციალურად დამისვეს შეკითხვა, თუ რითი განსხვავდებოდა სეისმომედეგი მშენებლობის ჩვენს მიერ დამუშავებული ნორმები საბჭოთა კავშირის ნორმებისაგან. მე მათ წერილობით მივუთითე რამდენიმე პრინციპულ დებულებაზე, რომელიც შეტანილი იყო ჩვენს ნორმებში და განსხვავდებოდა საბჭოურისაგან. მივუთითე ევროპული ნორმებიდან გადმოტანილ მოსაზრებებზეც.

**— ოფიციალური ეროვნული სამშენებლო ნორმების დაცვა სავალდებულოა თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული მშენებლობისას?**

— სწორედ რომ სავალდებულოა. საბჭოთა სინამდვილეში, გეგმიური ეკონომიკის პირობებში, მშენებლობას აწარმოებდა მხოლოდ სახელმწიფო და კიდევაც განსაზღვრავდა და არეგულირებდა მისი განვითარების ფორმებს, პრიორიტეტებს, ეკონომიკურ სარგებლიანობასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს; ამიტომაც ეწერა მკაცრად იმდროინდელ სამშენებლო ნორმებში, რომ მათგან გადაცდენა ისჯებოდა კანონით.

ახალ პირობებში ბევრ საკითხს საბაზრო ურთიერთობები არეგულირებს. სახელმწიფოს რეგულირების სფეროს კი განეკუთვნება მშენებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები და ადამიანის და გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა. საამისოდ სახელმწიფო აყალიბებს შესაბამის ტექნიკურ ნორმატიულ ბაზას, მიუთითებს, რომ ძირითადი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა, რის კონტროლსაც ავალებს სპეციალურ სახელისუფლო სტრუქტურას.



სეისმომედეგი მშენებლობის ჩვენს ნორმებს ერთვის საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუკა, სადაც ყველა გეოგრაფიული პუნქტისათვის მითითებულია, თუ როგორ სეისმურ ზემოქმედებაზე უნდა გაანგარიშდეს ამ ადგილას ასაშენებელი ნაგებობა. რუკა დამუშავებულია საქართველოს სეისმოლოგიური ორგანიზაციების მიერ მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილი სპეციალური კომისიის ეგიდით. აქ მითითებული საანგარიშო სეისმური დატვირთვა (ბალი) სწორედ ის სიდიდეა, რომლის შენარჩუნება აუცილებელია კანონმდებლობის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით მოგიყვებით ერთ საინტერესო ამბავს.

რამდენიმე წლის წინათ ბათუმში დიდი სასტუმროს მშენებლობა წამოიწყო უცხოურმა სამშენებლო ფირმამ, ის შეეცადა მშენებლობის გასაიაფებლად, ეროვნულ სამშენებლო ნორმებში მითითებული საანგარიშო სეისმური ბალის დაწევის შესაძლებლობის დასაბუთებას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისათვის. მიწერილ ბარათში უცხოური ფირმა, ალბათ მეტი დამაჯერებლობისთვის, ამტკიცებდა, თითქოს ეროვნულ ნორმებში მითითებული დებულებები მოძველებულია, არ შეესაბამება საერთაშორისო ტენდენციებს, რომ მოცემული ნორმები აფერხებენ ინვესტიციებს საქართველოში, რომ ქვეყანა დაიღუპება. . . ფირმა მინისტრისაგან ითხოვდა ეროვნული ნორმების გვერდის ავლით მშენებლობის წარმოების ნებართვას, კერძოდ, საანგარიშო სეისმური დატვირთვის დაკლებას.

მეცნიერებათა აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების შემსწავლელ კომისიას, საინჟინრო სეისმოლოგიისა და სეისმომედეგი მშენებლობის ეროვნულ ასოციაციასა და პირადად მეც, დაგვჭირდა გვარიანი ძალისხმევა, რომ ჩვენი ნორმები დაგვეცვა და უცხოელთა კრიტიკის უსაფუძვლობა გვეჩვენებინა. გაერთიანებული ძალებით შევძელით გარეშე ძალის „შემოტევის“ მოგერიება.

**— ბატონო გურამ, მე როგორც მახსოვს, მგონი მონაწილეობდით დსთ-ის ქვეყნებისათვის ნორმების დამმუშავებელ კომისიაშიც?**

— დიახ, ასეთი კომისია მოქმედებდა დსთ-ის ფარგლებში და მის მუშა ჯგუფში ვიყავი საქართველოს წარმომადგენელი. მონაწილეობდნენ სეისმური რეგიონების — რუსეთის, სომხეთის, შუა აზიის ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები. ძალიან საინტერესო შეხვედრები იყო და საგულისხმო სახელმწიფოთაშორისი დოკუმენტიც შევიმუშავეთ (2002) დსთ-ის ქვეყნებისათვის. ჩემი კატეგორიული მოთხოვნით, საქართველოს ეროვნული ნორმების შედგენისას ძირითადად მხოლოდ სამი წყაროთი ვხელმძღვანელობდით: საბჭოთა კავშირის, დსთ-ის და ევროპული დოკუმენტებით.

**— კი მაგრამ, თქვენ უკვე იცნობდით ამ დროისათვის ევროპულ ნორმატიულ ბაზას?**

— ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ ის ნორმები, რომლებიც ინსტიტუტმა დაამუშავა, როგორც გარდამავალი ეტაპის ნორმები, იმოქმედებდნენ სწორედ ამ პერიოდში და მერე უნდა ყოფილიყო სხვა, ოღონდ რა? საითკენ იქნებოდა მიმართული ქვეყნის სამშენებლო სფეროს განვითარების ახალი ვექტორი? ყველა არგუმენტი მიგვითითებდა, რომ ახალი ორიენტირი უნდა გამხდარიყო ევროპის სამართლებრივი და ტექნიკური რეგულირების სივრცე. დავიწყეთ ამ მიმართულებით ქმედება, ვთარგმნეთ რამდენიმე ევროპული დოკუმენტი, შევისწავლეთ და აღვრიცხეთ მათი ოფიციალური სტატუსი მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სააგენტოში. ევროპული დოკუმენტების ელემენტები, როგორც ზემოთაც ვთქვი, შევიტანეთ ჩვენს მიერ დამუშავებულ ეროვნულ ნორმებში, რომლებიც 2010 წლის იანვრიდან შევიდნენ ძალაში.

**— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სადღეისოდ რა მდგომარეობაა ამ სფეროში?**

— სამწუხაროდ, მაქვს გარკვეული სტაგნაციის შეგრძნება, პროცესი შენელდა. გაგაცნობთ რამდენიმე ოფიციალურ დოკუმენტს, რომ თვითონ დარწმუნდეთ ამაში. აი, ეკონომიკის მინისტრის ბრძანება, 2011 წლის 11 თებერვლით დათარიღებული, რომელშიც ნათქვამია:

„საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი სამშენებლო ნორმებისა და წესების, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტების დამტკიცებამდე, სამშენებლო საქმიანობისას გამოყენებულ იქნეს დანართში მოცემული ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმები, წესები და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები, აგრეთვე მათი ის ნაწილები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და რომელთა ალტერნატივა არ არსებობს ეროვნული სამშენებლო ნორმების და წესების ან ნორმატიული აქტების სახით“.

**— მაინც რამდენი ნორმაა დანართის ჩამონათვალში მითითებული?**

— აქ დასახელებულია საბჭოთა ნორმების 170 დოკუმენტი, თანაც ეს მხოლოდ ნაწილია სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი დოკუმენტებისა.

**— კი მაგრამ, „ეროვნული სამშენებლო ნორმების სახით,“ რამდენია ამ დრომდე დამუშავებული ?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, მარტო 4! ერთ-ერთი მათგანია „სეისმომედეგი მშენებლობა“(პნ 01.01-09). არც იციან უმრავლესმა ჩვენმა სამშენებლო ფირმებმა, რომ ამ ეროვნული ნორმების გამოყენება სავალდებულოა. ამაზე არ უზრუნიათ ოფიციალურ სტრუქტურებს, არც ნორმების ძირითადი მოთხოვნების შესრულება გაუკონტროლებიათ.

ეს იმას ნიშნავს, რომ დღემდე ჩვენს ქვეყანაში მშენებლობა მიმდინარეობს 20 და კიდევ მეტი წლის წინანდელი საბჭოთა ნორმების მიხედვით, რომლებითაც თვითონ რუსეთიც აღარ სარგებლობს.

ის გაუგებარი ბრძანებაც (2006) არ გაუუქმებიათ, რომლის მიხედვითაც ევროპულ ქვეყნებს და კიდევ 36 სხვადასხვა ქვეყნის ფირმებს უფლება აქვთ, რომ ჩვენს ტერიტორიაზე სამშენებლო ობიექტების მშენებლობისას თავიანთი ქვეყნების სამშენებლო ნორმებით ისარგებლონ.

ეკონომიკის ახალი მინისტრისაგან 2012 წლის დეკემბერში გაცხადებულ პრიორიტეტულ მიმართულებებშიც არაა ნახსენები ნორმატიული ბაზით სამშენებლო დარგის უზრუნველყოფის საკითხი.

აი, ასეთი განუკითხაობაა საქართველოში სამშენებლო დარგში.

**— თქვენ რასაც ბრძანებთ, მართლაც უსიამოვნოა და მეტიც, მძიმე მოსასმენია. უთუოდ გექნებათ საკუთარი ხედვა და როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს?**

— რა თქმა უნდა, მაქვს ჩემეული ხედვა, კონცეფცია; ჩამოგითვლით მის ძირითად დებულებებს.

სამშენებლო სფეროს განვითარების გენერალურ ხაზად დღეს უნდა მივიჩნიოთ ევროპულ სამშენებლო სამართალსა და ტექნიკური რეგულირების სისტემაზე გადასვლა, რაც გულისხმობს ევროპაში შემუშავებული საერთოევროპული სამშენებლო წესების, ე.წ. ევროკოდების (Eurocode) დანერგვას ჩვენს ქვეყანაში.

ეკონომიკის სამინისტრო წარმართავს სამშენებლო დარგის განვითარების პროცესს საკანონმდებლო გზით, მაგრამ ტექნიკური რეგულირების სისტემაზე გადასვლა არ შეიძლება მოხდეს ნაადრევად და ნაუცბადევად — ეს ქვეყნისათვის იქნება კოლაფსის ტოლფასი.

საქმე ისაა, რომ ევროპული ტექნიკური ნორმატიული ბაზა კონცეპტუალური ხასიათისაა, საგრძნობლად განსხვავდება საბჭოური სისტემისაგან და მისი ათვისება-დანერგვა სათანადო დროსა და თეორიულ ცოდნას საჭიროებს; ამიტომაც ევროპული ტექნიკური ნორმატიული სისტემის რეალური, შინაარსობრივი დანერგვისათვის აუცილებელია განსაზღვრული გარდამავალი პერიოდი და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია, რაც მოამზადებს ახალ ნორმატიულ ბაზაზე სრულფასოვანი გადასვლის საფუძველს.

პროგრამის სავარაუდო დასახელება ამნაირი შეიძლება იყოს: **„სამშენებლო დარგთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამა და მეცნიერების განვითარების კონცეფცია“.**

ეს პროგრამა უნდა დაფინანსდეს. მისი ძირითადი შემსრულებლები უნდა გახდნენ უმაღლესი სასწავლებლების ტექნიკური პროფილის კათედრები, რომლებიც საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში შეიტანენ ზემოაღნიშნულ ევროპულ ნორმატიულ დოკუმენტებს და განახორციელებენ მათ თარგმნას, შესწავლასა და გადატანას სალექციო პრაქტიკაში.

საუნივერსიტეტო პროგრამების რეალიზაციის პროცესში, სავარაუდოდ, 5-7 წელიწადში, ქვეყანაში ჩამოყალიბდება მშენებელთა, დამპროექტებელთა, პედაგოგთა და მეცნიერთა ახალი, თანამედროვე ცოდნით შეიარაღებული მაღალკვალიფიციური საკადრო კორპუსი.

მას მერე, რაც სამშენებლო სფერო ახალი ცოდნით გაჯერდება, ეკონომიკის სამინისტრო გამოსცემს საკანონმდებლო აქტს და ოფიციალურად დაადასტურებს საქართველოში ამ დარგის ახალი ნორმატიული ბაზის სახელმწიფო სტატუსს, რის შემდეგაც აუცილებელი გახდება მისი დებულებების გათვალისწინება.

ევროპულ ტექნიკურ ნორმატიულ სივრცესთან ჰარმონიზაციის მთელ ამ პროცესს აქტიურად უჭერს მხარს ევროკავშირი, გვთავაზობს დახმარებას, სამუშაო შეხვედრებს, სპეციალისტთა გაცვლას და სხვა ღონისძიებებს; თუ ამას მოვინდომებთ, ეს ყველაფერი საქართველოსთან ევროპის სამეზობლო პროგრამაშიც ჩაჯდება.

**— ბატონო გურამ, ზემოთ თქვენ ბრძანეთ, რომ მონაწილეობდით ეკონომიკის სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის ორგანიზებულ სამუშაო შეკრებებში, რომლებიც ევროპის ტექნიკური რეგულირების სისტემასთან ჰარმონიზაციის პრობლემებს ეძღვნებოდა. თქვენი კონცეფცია არ გააცანით დეპარტამენტის ხელმძღვანელობას?**

— რა თქმა უნდა, გავაცანი და დეტალურადაც ვიმსჯელეთ. 2012 წლის 29 დეკემბერს კი ჩემი მოსაზრებები გადავუგზავნე განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გიორგი მარგველაშვილს, რომელშიც უფრო დეტალურად მაქვს წარმოდგენილი ჩემი ხედვა, ვიდრე აქ აღვწერე. ბარათიც დავურთე, სადაც ვწერდი, რომ სამშენებლო სფეროს ნორმატიული ბაზის შექმნის გაჭიანურება არასგზით არ ივარგებს, დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ. ჯერჯერობით არავითარი პასუხი სამინისტროსაგან არ მიმიღია.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**— არადა, სამ თვეზე მეტია გასული და ეგ რაღა ახლავე დაწყებაა... თქვენს კონცეფციაში და საგანმანათლებლო პროგრამაში ნახსენებია მეცნიერების განვითარებაც. ეს უბრალო განცხადებაა, თუ გაქვთ კონკრეტული თვალსაზრისი? თქვენი შეხედულებით, როგორ უნდა მოხდეს ეს?**

— ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ პროგრამის რეალიზების ძირითადი საფეხურია ევროპული სამშენებლო კოდების გაცნობა, ათვისება, კრიტიკული ანალიზი, სალექციო პროგრამებში გადატანა. ევროკოდების სისტემა ზოგიერთ საკითხსა თუ კონკრეტული ტექნიკური პარამეტრის მნიშვნელობას ღიად სტოვებს და მათ გადაწყვეტას ადგილობრივ უფლებამოსილ სტრუქტურებს ავალებს. ჩვენი კონცეფციის მიხედვით, ამგვარი საკითხების ნუსხამ უნდა შეადგინოს ზოგადი საგანმანათლებლო პროგრამის **სამეცნიერო კვლევათა ქვეპროგრამა,** რომლის შემსრულებლები, ძირითადად ისევ უნივერსიტეტების ტექნიკური პროფილის კათედრები იქნებიან. მათ სხვა სპეციალისტებიც დაემატებიან.

სამეცნიერო ქვეპროგრამის რეალიზაციისას საჭირო გახდება იმ კვლევითი შედეგების გაცნობა, რომელთა საფუძველზეც არის გაწეული ევრონორმების ესა თუ ის ტექნოლოგიური, თუ თეორიული ხასიათის რეკომენდაცია. ზოგიერთ მათგანს ჩვენ უკვე დღესაც არ ვეთანხმებით და ეროვნულ ნორმებშიც შევიტანეთ განსხვავებული პარამეტრები, რისი დაცვაც მოგვიხდა საერთაშორისო ფირმებთან ურთიერთობისას.

**— წერილის სათაურში გავახმიანეთ სეისმური საფრთხის არსებობა. უნდა ვივარაუდოთ თუ არა, რომ ის, რაზეც ვილაპარაკეთ, ანუ სეისმომედეგი მშენებლობის ევროპული ნორმების დანერგვა ამ საფრთხეს აგვაცილებს?**

— ჩემმა პასუხმა ეგებ გაგაკვირვოთ, მაგრამ არ აგვაცილებს... უბრალოდ, თანამედროვე ევროპული ნორმების გადმოტანა დაასრულებს ამ დარგში ჩვენს ქვეყანაში არსებულ განუკითხაობას და ჩაგვაყენებს იმ ცივილიზებული ქვეყნების რიგში, სადაც მოსახლეობის უსაფრთხოებას საკანონმდებლო დონეზე იცავენ.

მაგრამ საქმე ისაა, რომ სეისმური რისკის გარკვეული ხარისხი თვით სეისმომედეგი მშენებლობის თანამედროვე ნორმებში დევს. ჩემს ბოლოდროინდელ კვლევებზე დაყრდნობით ვცდილობ პუბლიკაციებში ყველას დარწმუნებას, რომ სეისმომედეგი მშენებლობის ამჟამინდელი იდეოლოგია შეიცავს სეისმური რისკის მომეტებულ დონეს, რაც საშიშია არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის. თავს ნებას ვაძლევ ჩემი ბოლო მეცნიერული შრომიდან ერთი სრული ციტატის მოტანისა:

**„ყველაფერ ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ სეისმომედეგი მშენებლობის იდეოლოგია და სამშენებლო ნორმები, ვერც წარსულში და ვერც სამომავლოდ, ვერ უზრუნველყოფენ შენობათა დაზიანებების დონეების საიმედო პროგნოზირებას. თუ კაცობრიობამ არ გააცნობიერა სეისმომედეგი მშენებლობის იდეოლოგიაში ჩადებული რისკის დონის შემცირების აუცილებლობა, XX საუკუნეში მთელს მსოფლიოში აშენებული სეისმურად არასაიმედო შენობების რაოდენობა XXI საუკუნეში კიდევ უფრო მოიმატებს“.**

ეს გაფრთხილება კაცობრიობისკენ კი არის მიმართული, მაგრამ სინამდვილეში პასუხისმგებლობა აკისრიათ იმათ, ვინც აყალიბებს სეისმომედეგი მშენებლობის თანამედროვე იდეოლოგიას. მათი რეაგირება ორგვარი შეიძლება იყოს: ან უარყოფენ მომეტებულ საშიშროებას, ან დაეთანხმებიან; დათანხმების შემთხვევაში კი შეეცდებიან ამ რისკის შემცირებას ტრადიციული საშუალებებით — უფრო ზუსტად განსაზღვრონ სეისმური ზემოქმედება, უფრო დეტალურად გაიანგარიშონ ნაგებობა და სხვა.

მე კი მგონია, რომ მიწისძვრის ვერაგ სტიქიასთან ურთიერთობისას უნდა მოვეშვათ ამპარტავნებას, ვაღიაროთ ჩვენი არცოდნა და შენობათა დაპროექტებისას მივიღოთ მარაგის, ანუ „არცოდნის“ გაზრდილი მნიშვნელობა.

ესაუბრა
**თამაზ ებანოიძე**

## დანაშაული და დამნაშავე

# დონაძიდან – მერაბიშვილ-სააკაშვილამდე

**შს სამინისტროს პრესსამსახურის ყოფილი უფროსი გურამ დონაძე საქართველოში საკუთარი სურვილით ჩამოვიდა და გამოძიებასთან თანამშრომლობისთვისაც მზად არის. დონაძე საზღვრის გადმოკვეთისთანავე დააკავეს, მაგრამ სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.**

დღევანდელი ხელისუფლება აცხადებს, რომ ყოფილი მაღალჩინოსნები საქართველოში იმ გარანტიით ბრუნდებიან, რომ ციხეში არ მოუწევთ ყოფნა და გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდებიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი კი ამბობს, რომ გარანტია არავის არაფერში აქვს და ეს ინფორმაცია სწორი არ არის. თუმცა ფაქტია, რომ დონაძე (და არა მხოლოდ დონაძე) მეორე დღესვე გაათავისუფლეს.

გურამ დონაძის განცხადებით, ის გამოძიებასთან ითანამშრომლებს და ბევრი ამჟამინდელი მაღალჩინოსნის დანაშაულის კვალიც გამოიკვეთება.

**„მე მივატოვე ჩემი პირადი საქმეები და სასწრაფო წესით წამოვედი საქართველოში. ბრალის დეტალები ჯერ ბოლომდე არ ვიცი, უბრალოდ ვიცი და ვდებ პირობას, რომ გამოძიებასთან ვითანამშრომლებ და ვეცდები დავამტკიცო ჩემი უდანაშაულობა, რაშიც დარწმუნებული ვარ. ვდებ პირობას, რომ საზოგადოება ერთხელ და სამუდამოდ ამ საქმესთან დაკავშირებით გაიგებს სიმართლეს“,** — განაცხადა დონაძემ.




**გურამ დონაძეს ბუტა რობაქიძის მკვლელობასთან დაკავშირებით, ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მესამე ნაწილით ედება, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ნიშნავს. აღნიშნული მუხლი ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, თავისუფლების 5-დან 8 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.**

**19 წლის ბუტა რობაქიძე 2004 წლის 23 ნოემბერს მოკლეს. დონაძე თავს დამნაშავედ არ ცნობს, თუმცა ადასტურებს, რომ 24 ნოემბერს დილით, დანაშაულის ადგილზე იმყოფებოდა. „რუსთავი 2“-ის არქივში არის კადრები და სანამ მე ვინმეს დავასახელებ, იქ ჩანს, ვინ არის, იქ არიან მოქმედი მაღალჩინოსნებიც“.**

გარდაცვლილი ბუტა რობაქიძის დედა, ია მეტრეველი ვერ იხსენებს, რომელი მაღალჩინოსნები ჩანდნენ მაშინ კადრებში.

**„როგორც ვიცი, როდესაც დონაძე გადამღებ ჯგუფთან ერთად შემთხვევის ადგილზე მივიდა, მთელი სამართალდამცველები უკვე მობილიზებულები იყვნენ. მას თავიდან ყველაფერი გადაღებული ჰქონდა ისე, როგორც სინამდვილეში იყო. როგორც ვიცი, მაშ შემდეგ ფირი შეაცვლევინეს და როდესაც უკვე იარაღი ჩააწყვეს, მთელი ეს ფარსი რომ დაედგათ, თავიდან გადააღებინეს ყველაფერი“.**




ია მეტრეველი არ გამორიცხავს, რომ მას ნამდვილი ფირი შესაძლოა, შენახულიც კი ჰქონდეს. **„შესაძლოა, ჰქონდეს კიდეც. მაგ ადამიანზე გამიგია, რომ არა მხოლოდ ეს, არამედ სხვა მასალებიც ჰქონდა გადაღებული. რა თქმა უნდა, მას ექნება ინფორმაცია და როდესაც ასე ადვილად ჩამობრძანდა, ვიფიქრე, რომ ალბათ, აპირებს თანამშრომლობას. მივესალმები თუ ახალ გვარებს დაასახელებს და მიაწვდის ინფორმაციას, თუმცა ამით მას არ უნდა მოეხსნას ის ბრალდებები რაც აქვს წაყენებული და ველოდები, რომ სამართლიანად იქნება დასჯილი და მას ციხეში ვნახავ. ნამდვილად ვერ შევეგუები, რომ ის გარეთ დავინახო. თუმცა, ახლა სასამართლო ისევ კუბლაშვილის ხელშია და არ გამიკვირდება გამოუშვან, მაგრამ ეს დროებით. მალე ვნახავ ყველა დამნაშავეს ციხეში“,** — აცხადებს ია მეტრეველი.

ია მეტრეველი ვარაუდობს, რომ დონაძემ თავის გადარჩენა გადაწყვიტა, რადგან მიხვდა, რომ გამოძიებას ვერსად ვერ დაემალებოდა, ამასთან ვარაუდობს, რომ დასახელდებიან მაღალჩინოსნებიც, რადგან აქამდეც იცოდა, რომ ბევრი მათგანი იყო გარეული ამ საქმეში.

ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე ვარაუდობს, რომ შესაძლოა, დონაძე თავისი ყოფილი პარტნიორების პროვოცირებას ცდილობს.

**„ძალზე საინტერესო რამ არის, ამას წინათ ტელეეთერში თეა თუთბერიძემაც თქვა, ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით, რომ ვინც ეს დაგეგმა, ის დღესაც შს სამინისტროს თანამშრომელია და იქნებ იქიდან დაგეწყოთო... თუ ამ ორ განცხადებას ერთმანეთთან დავაკავშირებთ, მაშინ ეს ახალ ხელისუფლებაში დარჩენილი ძველი კადრების წინააღმდეგ პროვოცირებას ჰგავს რომ თუ რაღაცას არ იღონებთ, მზად ვარ დავასახელო ყველა თქგვენგანი. უფრო ამ კონტექსტის მატარებელი მგონია დონაძის განცხადებები“,** — ამბობს ძაბირაძე.

როგორც უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე ვარაუდობს, დონაძეს ძალიან ბევრი დრო ჰქონდა იმისათვის რომ დაელაგებინა თავისი სათქმელი და მას თუ რაიმე ჰქონდა გასამხელი, ეს ორი თვის წინაც ექნებოდა, თუმცა აცხადებდა, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობდა. ლორთქიფანიძე ბაჩო ახალაიას დაბრუნებასთანაც ხედავს პარალელებს და მისი შეფასებით, მართლაც ძალიან ჰგავს ახალაიას დაბრუნების ისტორიას, როდესაც აცხადებს რომ გამოძიებასთან ითანამშრომლებს და ახალ გარემოებებს მიაწვდის. ლორთქიფანიძის შეფასებით, ეს ახალი გარემოებები თავისი ყოფილი პარტნიორების სასარგებლოდ იქნება თუ საწინააღმდეგოდ, ამას დრო გვიჩვენებს.

**„რაც შეეხება მის ურთიერთობებს ყოფილ მაღალჩინოსნებთან, ცნობილია, რომ ის ახლო ურთიერთობაში იყო ვანო მერაბიშვილთან, მის კადრად ითვლებოდა და ნაკლებ სავარაუდოა, დღეს დონაძე მზად იყოს უმაღლეს პოლიტიკურ პირებთან დაკავშირებით თანამშრომლობაზე. მე ვფიქრობ, რომ აქ ლაპარაკია იმ კონკრეტულ ეპიზოდებზე, რომლის თაობაზე ჩვენ ნაწილობრივ გვაქვს ინფორმაცია მიღებული იმ ვიდეოკადრებით, რომელიც გავრცელდა. თუმცა, შესაძლოა, არსებობდეს სხვა ჩანაწერებიც, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია მედიის საშუალებით. გურამ დონაძის მისია იყო პრეს-სამსასხური, ამავე დროს, იგი განკარგავდა სახელისუფლებო არხს და არ არის გამორიცხული, მის პირად არქივში დაცული იყოს რამე ისეთი, რაც ჩვენთვის უცნობია“,** — მიიჩნევს ლორთქიფანიძე.

ლორთქიფანიძის ვარაუდით, **„დონაძის პიროვნებიდან გამომდინარე (მუშაობდა „რუსთავი 2-ში“, არის ჟურნალისტი, სერიოზული შეხება ჰქონდა დოკუმენტური კადრების მოპოვებისა და შენახვის თვალსაზრისით), არ არის გამორიცხული, საჭირო მომენტში თავის გადარჩენის მიზნით, უფრო დიდი, სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის უფრო მნიშვნელოვანი საქმეების გახსნის მოტივით ითანამშრომლოს და ამით გარანტირებულად მოიპოვოს თავისუფლება“,** — მიიჩნევს ლორთქიფანიძე.

შესაძლებელია თუ არა დონაძის დაბრუნება იყოს გარკვეული პროვოკაცია მიმართული ხელისუფლების წინააღმდეგ, ჯერ ძნელი სათქმელია, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღესაც ყელში აქვს გაჩხერილი ამ ხელისუფლებას ბაჩო ახალაიას ჩამოსვლა, რომელიც დანის ტარით დაზიანების მიყენებისთვის დააკავეს და ის სერიოზული ბრალდებები რომელზეც ეჭვი საზოგადოებაში მრავალი წლის მანძილზე არსებობდა, ჯერაც არ არის მის მიმართ წაყენებული.

**„ბაჩო ახალაიას გამოჩენა ამ ხელისუფლებისთვის საკმაოდ მოულოდნელი იყო. ორი კვირა რომ თავისუფლად ევლო ახალაიას ქუჩაში და მერე დაეპატიმრებინათ ასეთი რამ არ იქნებოდა. მინდა გითხრათ ერთი რამ — ჯერჯერობით, მას მხოლოდ აღმკვეთი ღონისძიება აქვს შეფარდებული, რა ბრალს წაუყენებენ, ეს შემდეგ გაირკვევა სასამართლოზე და არ მგონია, ახალაია ასე ადვილად დაუძვრეს გამოძიებას. არც ის მგონია, ყელში ჰქონდეს გაჩხერილი ხელისუფლებას მისი ბრალეულობის საკითხი“,** — მიიჩნევს ვახტანგ ძაბირაძე.

დიმიტრი ლორთქიფანიძე კი თვლის, ვის წინააღმდეგაც არ უნდა იყოს გამოყენებული ეს ვიდეომასალა და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს, ფარდას ახდის უფრო მძიმე დანაშაულს, ვიდრე ჩვენთვის იყო ცნობილი.

ბოლო პერიოდში უკვე ვხედავთ, რომ დასაკითხ მაღალჩინოსანთა წრე საკმაოდ ვიწროვდება საკმაოდ მკაცრი იყო იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადება, როდესაც თქვა, რომ გირგვლიანის საქმეში ეჭვმიტანილი მელნიკოვის საქართველოში ჩამოყვანას ელოდება და შემდეგ ბევრ მაღალჩინოსანს მოუწევს დაკითხვებზე სიარული. არ გამოირიცხება ქვეყნის პრეზიდენტისა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის გაცილებით სერიოზულ საქმეებზე დაკითხვაც, როგორიცაა, მაგალითად, ჟვანიას საქმე. თუმცა მერაბიშვილს მიაჩნია, რომ გამოძიება ახალს ვერაფერს იტყვის ამ საქმესთან დაკავშირებით.

**„არ გამოვრიცხავ ერთ უცნაურ ვარიანტს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მიხეილ სააკაშვილმა რომელიმე ქვეყნის დედაქალაქიდან გვაცნობოს, რომ გადადგა. მის ბოლო გამოსვლას რომ ვიხსენებ, ასეთი სააკაშვილი ჯერ არ მინახავს, განერვიულებული, შეწუხებული და დაბნეული. ამას იმიტომ ვამბობ, რომ წრე ნელ-ნელა იკვრება, მელნიკოვი, როგორც ვიცი, თავად დათანხმდა საქართველოში ჩამოყვანას. მალე შეიძლება მივიღოთ პროცესი, როდესაც ყოფილი მაღალჩინოსნები ერთმანეთს დაასწრებენ გამოძიებისთვის ჩვენების მიცემას. აქ უკვე იმაზე წავა თამაში, ვინ როგორ და რამდენად სწრაფად გადაირჩენს თავს. ეს პროცესი შეიძლება დაიწყოს. რაც მელნიკოვმა შეიძლება თქვას, ხომ იციან მაღალჩინოსნებმა, ამიტომ, სჯობს აღიარებითი ჩვენებებით წარსდგნენ. არ გამოვრიცხავ, ასეთი პროცესი დაიწყოს და ამ ყველაფერს ჯაჭვური რეაქცია მოჰყვეს. მით უმეტეს, სიტუაცია ამ ხელისუფლების სასარგებლოდ არის შეცვლილი — საზოგადოებრივ აზრს ვგულისხმობ. თუმცა, ისიც მინდა შევნიშნო, რომ საზოგადოებრივი განწყობა თანდათან აგრესიული ხდება და ამ განწყობებს ვერავისი მოწოდებები ვერ შეცვლის“,** — აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

ფაქტია, რომ მელნიკოვიცა და დონაძეც ფიგურირებდნენ გირგვლიანის საქმეში. თუკი მელნიკოვი გამოძიებასთან თანამშრომლობას დაიწყებს, დონაძეს არ უნდა აწყობდეს, ეს მისი უცხოეთში ყოფნის პირობებში მოხდეს. დონაძის გირაოთი გათავისუფლება იმაზეც მიანიშნებს, რომ ყოფილ ხელისუფლებას რაღაცის გამო მისი იზოლაციაში დატოვება არ აწყობდა. თანამშრომლობის სურვილი მელნიკოვისა და დონაძის მხრიდან ერთი რამითაც შეიძლება აიხსნას, ყოფილი ზემდგომებისგან ვერ მიიღეს უსაფრთხოების ის გარანტიები, რისი მოლოდინიც ჰქონდათ, სააკშვილსაც და მერაბიშვილსაც მხოლოდ საკუთარი თავი ადარდებთ. თუკი ეს ვერსია რეალობასთან ახლოსაა, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ მალე მრავალმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა, მათ შორის, ზურაბ ადეიშვილმაც გადმოლახოს საზღვარი გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილით.

**ლალი ზირაქიშვილი**

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბუნებრივი რესურსების სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

**ობიექტი № 1**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მაჩანწარას ხევზე „ვარდისუბნის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 27 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 620 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 362 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 924 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 18 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 2**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხცისის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „ქალისუბნის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია – C₁ მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 98 100 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხცისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 13 154 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 315,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 831 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 18 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 3**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ადაიანის მიმდებარე ტერიტორია, „ადაიანის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 17 700 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ადაიანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 373 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 237,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 675 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

| | | |
|---|---|---|
| | დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 18 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 4** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლის მიმართულებით, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის უსაფრთხოების წესების დაცვით.<br><br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და |
| | | შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყუდროს მიმდებარე ტერიტორია, „ყუდროს“ (I და II უბანი) დაციტის (სამშენებლო) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 466 200 მ³, I უბანზე - 302 400 მ³ და II უბანზე - 163 800 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყუდროს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 18 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 5** | |
| | ბუნებრივი რესურსებით | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი |

| | | |
|---|---|---|
| | სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას:<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის |
| | | საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალ-დებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, შესახვევი II, №18ა, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 მ³/დღე-ღამეში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, შესახვევი II, №18ა |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 18 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 204 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

| | | |
|---|---|---|
| | დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 18 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 6** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მერიის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ნატანებზე „ნატანების" (I და II უბანი) ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 195 900 $მ^3$, I უბანზე - 40 500 $მ^3$ და II უბანზე - 155 400 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მერიის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 26 267 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 626,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 5 454 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 18 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 7** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის ფარგლებში არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) საბადოს დამუშავება უნდა მოხდეს ღია კარიერული წესით, მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლისაკენ, საფეხურებრივად, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოების დაცვით.<br>გ) უნდა შენარჩუნდეს ფერდობის ბუნებრივი ქანობი და მდგრადობა.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაჯითის მიმდებარე ტერიტორია, „ბაჯითის" (I და II უბანი) კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის (მინის წარმოებისათვის) საბადო (კატეგორია - $B+C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 295 650 ტონა , I უბანზე - 122 400 ტონა და II უბანზე - 173 250 ტონა). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაჯითის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 138 793 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 13 879,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 27 959 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 18 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 8** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი |



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

| | | |
|---|---|---|
| | | მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღაიანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ქსანზე „ქსნის“ ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია -A+$C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 27 900 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. აღაიანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 741 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 374,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 948 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 18 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 9** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. შაქრიანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ალაზანზე „ალაზანის“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 12 000 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. შაქრიანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 609 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 160.9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 522 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |

| | | |
|---|---|---|
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 18 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 10** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს საფეხურებრივად, მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლისაკენ, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ |
| | | დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. კატნატუს მიმდებარე ტერიტორია, „კატნატუს“ ანდეზიტ-დაციტის (ღორღი) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 51 000 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. კატნატუს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 2200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 15 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 18 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 18 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ რეაქცია

# თამაზ თევზაძე: ჭიდაობის ოლიმპიადაზე დარჩენის საკითხი 2013 წლის სექტემბერში გადაწყდება

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზმა პრესკონფერენციას უმასპინძლა, რომელიც საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების მიერ თურქეთის დედაქალაქ ანკარაში დასრულებულ იაშარ დოგუს ტრადიციულ 41-ე საერთაშორისო მემორიალს მიეძღვნა. ტურნირში 12 ქვეყნის 150-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. მეზობელ სახელმწიფოში ქართველმა მოჭიდავეებმა სამი ოქრო (ვლადიმერ ხინჩეგაშვილი — 60კგ, დავით მარსაგიშვილი — 84კგ, ელიზბარ ოდიკაძე — 90კგ), ერთი ბრინჯაოს მედალი (გიორგი ედიშერაშვილი — 55კგ) მოიპოვეს და გუნდურ ჩათვლაში მე-3 ადგილზე გავიდნენ.**



ფინალში ხინჩეგაშვილმა ენიამ ოჩირს (მონღოლეთი) მოუგო, მარსაგიშვილმა პაკი ჩეილანს (თურქეთი) სძლია, ხოლო ოდიკაძემ ტიტულოვანი ფალავანი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ხეთაგ გაიზუმოვი (აზერბაიჯანი) დაამარცხა.

აღნიშნულ პრესკონფერენციაზე მთავარ თემად სოკ-ის (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი) აღმასკომის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იქცა, 2020 წლის ოლიმპიური თამაშებიდან ჭიდაობის სახეობების (თავისუფალი, ბერძნულ-რომაული) ამოღების თაობაზე. საბოლოო გადაწყვეტილება ჭიდაობის სახეობების ოლიმპიური თამაშებიდან ამოღების შესახებ 2013 წლის სექტემბერში არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში გასამართ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

მასმედიასთან შეხვედრას საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძესთან ერთად ლუკა (ელდარ) კურტანიძე, რევაზ მინდორაშვილი და ნაკრების სხვა მწვრთნელები — დავით პოლოსიანი და დავით კახნიაშვილი ესწრებოდნენ.

**თამაზ თევზაძე:** „ჩემთვის მოულოდნელი იყო სოკ-ის გადაწყვეტილება, რომელიც ჭიდაობის (თავისუფალი, ბერძნულ-რომაული) 2020 წლის ოლიმპიურ თამაშებში შემავალი სახეობებიდან ამოღებას გულისხმობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფილა (ჭიდაობის სახეობათა საერთაშორისო ფედერაცია) პრობლემების (ჭიდაობის წესების დახვეწა, სატელევიზიო პოლიტიკის არასწორად წარმართვა, კორუფცია...) წინაშე აღმოჩნდა, სოკ-ის მხრიდან გაკეთებული აღნიშნული განცხადება შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ერთგვარი გამაფრთხილებელი გზავნილი ფილას მისამართით ჭიდაობაში არსებული პრობლემატური საკითხების მოსაგვარებლად.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭიდაობა უძველესი ოლიმპიური სახეობაა, ნამდვილად არ იმსახურებს იმ სახეობებში მოხვედრას, რომელთა ოლიმპიურ სახეობათა სიაში მოხვედრის საკითხი დგას.

ჭიდაობა საქართველოს სპორტის სტრატეგიული სახეობაა და ოლიმპიადიდან მისი ამოღება ქართულ სპორტს ნამდვილად დააზარალებს. ხელთ მაქვს ამერიკელ სპორტსმენთა გრძელი სია, რომლებიც არ ეთანხმებიან ჭიდაობის ოლიმპიური თამაშებიდან ამოღებას. იმედი დავიტოვოთ, რომ ჭიდაობა ოლიმპიური თამაშების სახეობათა სიაში დარჩება".

**ლუკა კურტანიძე:** „თურქეთში, იაშარ დოგუს მემორიალზე ჩვენი ფალავნების მიერ ნაჩვენებმა შედეგმა დაადასტურა, რომ სწორ გზაზე ვდგავართ და ჩვენი ფალავნების წარმატებით გულშემატკივრებს მომავალშიც ხშირად გავახარებთ. ყოველთვის ვამბობდი, რომ თავისუფალ ჭიდაობაში იმაზე მეტი რეზერვია, ვიდრე აქამდე ვიყენებდით. ამიტომ შედეგებიც იმაზე მეტი უნდა გვქონოდა, ვიდრე გვაქვს. ახალგაზრდებიდან განსაკუთრებით მინდა მძიმე წონაში მოასპარეზე გენო პეტრიაშვილის წარმატება აღვნიშნო. კარსაა მომდგარი ევროპის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელსაც თბილისი უმასპინძლებს. მაქსიმალურად ვეცდებით, როგორც აღნიშნულ, ისე მომავალ ტურნირებში წინანდელზე ბევრად უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ.

სამწუხაროდ, საქართველო ტერიტორიულად პატარა ქვეყანაა. არც წარმომადგენელი გვყავს 14-კაციან კომისიაში, რომლის 8 წევრმა 6-ის წინააღმდეგ ჭიდაობის სახეობების ოლიმპიური თამაშებიდან ამოღებას დაუჭირა მხარი. სამწუხაროდ, ჩვენ არაფრის შეცვლა შეგვიძლია. მთლიანად ვიზიარებ თევზაძის კომენტარებს, რომლებიც ჭიდაობის ოლიმპიური თამაშებიდან ამოღებას ეხება".

**ბეჟან დოლიძე**

◉ ფეხბურთი



# ეს მართლაც ლიგაა!

**„რეალი" „მანჩესტერის", მაურინიუ ფერგიუსონის, რონალდუ რუნის წინააღმდეგ — დაგვეთანხმებით, უკეთეს აფიშას ძნელად თუ ინატრებს კაცი.**

**მას შემდეგ, რაც კენჭისყრამ ეს ორი უდიდესი კლუბი მერვედფინალში დააწყვილა, ნაირნაირი პროგნოზი გამოითქმოდა, მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუზე" გამართულმა პირველმა ჯახმა ერთი მოსაზრება უკვე დაადასტურა: ნაღდი ჩემპიონთა ლიგა მართლაც პლეიოფებიდან იწყება.**

ეს რომ ასეა, პირველ ტაიმში მეტოქეთა მიერ მოწოდებული ექვს-ექვსი კუთხურიც მოწმობს (სულ — 20). აღარაფერს ვამბობთ შეტევითი ტაქტიკის ერთგულებასა და მეკარეთა მიერ განმუხტულ სახიფათო სიტუაციათა სიუხვეზე.

დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ: ეს მხოლოდ ჟურნალია, ხოლო პრემიერა წინ გველოდება.

**„რეალი" — „მანჩესტერი" 1:1.**

**გოლები:** რონალდუ; უელბეკი.

კიდევ უფრო შედეგიანი თამაშით დატკბა დონეცკის „დონბას არენაზე" შეკრებილი აუდიტორია, სადაც „შახტარმა" ორჯერ გაფლანგა დორტმუნდის „ბორუსიასთან" მოპოვებული უპირატესობა.

სხვათა შორის, გულშემატკივართა მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნია, რომ „ბარსელონას" შემდეგ ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს ევროპაში სწორედ გერმანიის მოქმედი ჩემპიონი თამაშობს.

ძნელია არ დაეთანხმო მათ. მეტიც: იურგენ კლოპის გუნდი, ნუ გაგიკვირდებათ და, მთლიანად გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტადაც შეიძლება ჩაითვალოს.

**„შახტარი" — „ბორუსია" 2:2.**

**გოლები:** სრნა, კოშტა; ლევანდოვსკი, ჰუმელსი.

**გიორგი შოთაძე**

◉ ეროვნული ნაკრები

# სპარინგობის კანდიდატები

**ამ დღეებში ყაზახურმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომლის თანახმადაც ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები 14 აგვისტოს ამხანაგურ მატჩს საქართველოს მთავარ გუნდთან გამართავს.**



ქართულ მხარესთან გადამოწმების შემდეგ დაზუსტდა, რომ აზიელებს „ჯვაროსნებთან" თამაში მართლაც სურთ, თუმცა საბოლოო შეთანხმება ჯერ მიღწეული არაა, რადგან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იმ პერიოდისათვის სხვა, უფრო ძლიერ სპარინგ-პარტნიორებს ეძებს.

დავძენთ, რომ ზაფხულშივე თემურ ქეცბაიას შეგირდებს კიდევ ორი ამხანაგური შეხვედრა ელით. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ივნისში ისინი დანიელებს ესტუმრებიან, ხოლო მეორე მეტოქის ვინაობას მალე შევიტყობთ.

**მანუჩარ გიორგაძე**

◉ კალათბურთი

# სტაბილური ზაზა

**„ორლანდოს" ვარდნა საკალათბურთო ფსკერისკენ გრძელდება. ჟაკ ვონის დამოძღვრილ გუნდს ბოლო 13 თამაშიდან 12 ჰქონდა წაგებული და გუშინ საკუთარ დარბაზში ეს წარუმატებლობათა სერია გააგრძელა, დათმო რა კიდევ ერთი მატჩი „ატლანტასთან" 76:108.**



სტუმრებმა შეხვედრა ძალიან აქტიურად დაიწყეს და პირველივე წუთებიდან მოიპოვეს სათამაშო უპირატესობა, რომელიც შემდეგ ანგარიშშიც გარდასახეს. „ჰოუქსის" კალათბურთელებმა ბრწყინვალედ გამოიყენეს საკუთარი მაღალი კლასი წინა ხაზში და მეტოქე აშკარად დაჩაგრეს. ჯოშ სმიტმა და ელ ჰორფორდმა კიდევ ერთი შესანიშნავი მატჩი ჩაატარეს და ორივე მათგანმა ამჯერადაც ორმაგი დუბლები გაიფორმეს.

„ატლანტას" ქართველი ცენტრი ზაზა ფაჩულია სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო მატჩში. მან პარკეტზე უჩვეულოდ მცირე 17 წუთი დაჰყო და ამ დროის განმავლობაში მშვენიერი სტატისტიკა გამოიმუშავა: 8 ქულა, 6 მოხსნა (3 მეტოქის ფარზე) და 1 შედეგიანი პასი.

ამ გამარჯვების შემდეგ „ჰოუქსი" (29-22) აღმოსავლეთ კონფერენციაში მეექვსე პოზიციაზე იმყოფება, ხოლო საკუთარ ცენტრალურ დივიზიონში მეორეა, ჩამორჩება რა მხოლოდ მოქმედ ჩემპიონ „მაიამის" (35-14).

„ბრუკლინი" საკუთარ Barclays A rena-ზე „დენვერ ნაგეთსს" მასპინძლობდა.

შეხვედრა მაღალ ტემპში წარიმართა და მშვენიერი საყურებელი გამოდგა, რადგან ორივე გუნდმა აქცენტი შეტევაში თამაშზე გააკეთა.

„ბრუკლინმა" პირველი მეოთხედის წაგების შემდეგ (23:26) დროულად მოახერხა გამოფხიზლება, შემდგომ ორ პერიოდში მეტოქეს 17 ქულა მოუგო და საკმაოდ დიდი ჰანდიკაპით შეხვდა უკანასკნელ 12 წუთს. ტაი ლოუსონმა სცადა სიტუაციის გამოსწორება და რამდენჯერმე „ნაგეთსი" მეტოქეს სახიფათო დისტანციაზე მიუახლოვდა, თუმცა ამჯერად ჯო ჯონსონმა და ბრუკ ლოპესმა აიღეს თამაში დროულად საკუთარ თავზე და ბოლო წუთებზე ნერვიულობის გარეშე მიიყვანეს შეხვედრა ლოგიკურ გამარჯვებამდე 119:108.

პი ჯეი კარლესიმომ ახალგაზრდა ქართველი ფორვარდი თორნიკე შენგელია სამატჩო 13- კაციან განაცხადში კი შეიყვანა, თუმცა პარკეტზე სათამაშოდ არ შეუშვია და იგი თამაშის ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ჰოკეი

# პროფესიულ ტალღაზე

**თანდათან ძალებს იკრებს პროფესიონალთა უმთავრესი ტურნირის — ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული სეზონი, რომელიც უპრესტიჟულესი სტენლის თასის გათამაშების მონაწილეებს გამოავლენს.**

შეგახსენებთ, რომ თითოეული კონფერენციიდან საპატიო ჯილდოსათვის ბრძოლას 8-8 უძლიერესი კლუბი განაგრძობს.

ჯერჯერობით გუნდებმა 10-14 თამაში გამართეს. გაეცანით სადღეისო სატურნირო მდგომარეობას.

**აღმოსავლეთი კონფერენცია**
**ატლანტიკის დივიზიონი**

ნიუ ჯერსი — 19, პიტსბურგი — 16, რეინჯერსი — 14, ფილადელფია — 13, აილენდერსი — 9 ქულა.

**ჩრდილო-აღმოსავლეთი დივიზიონი**

ბოსტონი — 18, ტორონტო, ოტავა — 16-16, მინრეალი — 15, ბუფალო — 11 ქულა.

**სამხრეთ — აღმოსავლეთი დივიზიონი**

კაროლინა — 15, ტამპა ბეი — 13, ვინიპეგი — 11, ფლორიდა — 10, ვაშინგტონი — 9 ქულა.

**დასავლეთი კონფერენცია**
**ცენტრალური დივიზიონი**

ჩიკაგო — 23, ნეშვილი — 16, დეტროიტი — 15, სენტ ლუისი — 13, კოლუმბუსი — 10 ქულა.



**ჩრდილო — დასავლეთი დივიზიონი**

ვანკუვერი — 18, მინესოტა, ედმონტონი — 13-13, კალგარი, კოლორადო — 9-9 ქულა.

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

ანაჰაიმი — 19, სან ხოსე — 17, დალასი — 15, ფინიქსი — 14, ლოს-ანჟელესი — 10 ქულა.

**როსტომ რაჭველიშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჯანმრთელობა: ალტერნატიული მეთოდი

# თითები მისტიკური ფრინველის ფრთებივით გაშალეთ...

**ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ ხელების მტევნები – ადამიანის ორგანიზმის თავისებური მოდელია. თითებისგან შედგენილი სხეულებით შეგიძლიათ სნეული ორგანოს, ანდა, სულაც, მთლიანად ორგანიზმის გაჯანსაღება.**

სამკურნალო „მუდრები“, ან „თითების იოგა“ – მარტივი გამაჯანსაღებელი მეთოდიკაა, რომელიც ინდოეთში რამდენიმე საუკუნის წინათ ჩაისახა, საიდანაც იგი მრავალი ბუდისტური ქვეყნის სახალხო მკურნალმა გადაიღო. ხელების მტევნების ვარჯიში არანაირ ძალისხმევას არ საჭიროებს, ამ დროს მთავარია მხოლოდ კონცენტრირების უნარი.

როცა ჩვენ ცხარე კამათის დროს მოსაუბრეს ემოციურად ვუტევთ, ინტუიციურად თითებს პისტოლეტის მსგავს ფიგურად ვაწყობთ და მოწინააღმდეგეს „ვუშვერთ“, ხოლო როცა რაღაც მნიშვნელოვანი ამბის გაგებას ველით, ხელებს ვედრების ჟესტად ვაწყობთ... როცა რაღაც გვიხარია, მუშტებს ზევით ვწევთ და მხიარული შეძახილებით ვეგებებით კარგ ამბავს, თან ხმამაღლა გამოვხატავთ ჩვენს აღფრთოვანებას. თითოეული ეს რეფლექტორული მოძრაობა ჩვენ ემოციურ განწყობას გამოხატავს. მაგრამ, ცნობილია, რომ **სხეულისა და ცნობიერების კავშირი ორივე მიმართულებით მუშაობს – სხეულს ბრძანებებს არა მარტო ემოციები გადასცემენ, სხეულისა და მისი ნაწილების მდგომარეობასაც შეუძლია თავის მხრივ ფსიქოლოგიური განწყობის შეცვლა.** სწორედ აქედან მოდის ფსიქოლოგთა რჩევა, საკუთარ თავს სარკეში უფრო ხშირად გაუღიმოთ, როცა მაინცდამაინც კარგ გუნებაზე არა ხართ. ამასთან, არის სხვა ხერხებიც, მათ შორის, კონკრეტულად, მუდრები.

**მუდრების მოქმედება ხელის ყოველი თითისა და ხელისგულის გარკვეული ნაწილის სხეულისა და მისი გარკვეული ორგანოების რეფლექტორულ კავშირზეა აგებული.** მაგალითად, თავზე პასუხისმგებელია ცერა თითის ზედა ფალანგა, ხერხემლის სვეტი ერთგვარად საჩვენებელი და არათითის მტევნის ძვლებს შორის გადის, თანაც კუდუსუნი ზედ მათ შორის განლაგებულ წერტილში იწყება. არათითი და შუათითი მარჯვენა და მარცხენა ფეხებს შეესაბამება, ნეკი და საჩვენებელი თითები – მარჯვენა და მარცხენა ხელებს. ფაქტობრივად, გამოდის, რომ **ხელების მტევნები – ესაა მთელი ორგანიზმის მოდელი, ამიტომ თითების შეერთებით და ერთი მეორეზე გადაჭდობით, ჩვენ მათგან გარკვეულ ფიგურებს (მუდრებს) ვქმნით,** რითაც სხეულს ვუბრძანებთ: „დაიხარე!“, „ჩაჯექი!“, „ხელფეხი ერთმანეთს გადააბი!“... **ერთი შეხედვით ასეთ უმნიშვნელო მოძრაობებს სხეულში ენერგეტიკულ ნაკადთა გადანაწილება და თანდათანობით სნეული ორგანოს, ანდა, სულაც ორგანიზმის მთელი სისტემის განკურნვა შეუძლია.**

**სხვადასხვა პოზიცია კეტავს ან ხსნის ენერგეტიკულ არხებს. როცა თითები შეკრულია – ენერგია ყველა არხში კონცენტრირდება, ხოლო როცა გაშლილია – ენერგია თავისუფლდება.**

მუდრების ეფექტი თანდათანობით იხსნება. მთავარია, რომ ვიდრე მუდრების გაკეთებას დაიწყებდეთ, თქვენს გრძნობებს მიუგდოთ ყური – როგორც მანამდე, ისე შემდგომ. მუდრების თერაპიის ოსტატები მის „ჩართვასა“ და „გამორთვას“ თავდაპირველად იმპულსურად, შეგრძნებათა შედარებით გვირჩევენ. მაგალითისთვის ავიღოთ მუდრა „ამწევი“: ხელები თითქოს ვედრების ჟესტითაა გადაბმული, ცალი ხელის ცერი და საჩვენებელი თითები თითქოს მეორე ხელის გაწეულ ცერს ეხვევიან. ეს მუდრა მობილიზებულობის შეგრძნებას გვაძლევს, თავს კონცენტრირებულად და დაცულად გაგრძნობინებს. იგი, არსებითად, ამ შეგრძნებათა წარმოსაშობად გამოიყენება: ორგანიზმის დაცვითი პოტენციალის მობილიზებას ახდენს, განსაკუთრებით კი ყელის ანთებისა და ხველებისას.

ასევე მნიშვნელოვანია იმის დაკვირვება, თუ როგორი შეგრძნებები გიჩნდებათ თითების შეხების ადგილებში: სიცივეა ეს თუ სითბო, სიმშვიდე თუ „დენი“. მუდრების მოქმედების გადაბმა გარკვეულ სახეებზე შეიძლება, ვთქვათ, თუ წარმოიდგენთ მას, როგორც თბილ ენერგიას, რომელიც ისევე, როგორც ატრაქციონ „ამერიკულ მთებზე“ თითებით ზევით მიიწევს და ხელისგულით ქვევით ეშვება. თუკი თითები თავიდან ნაკლებად მგრძნობიარე გაქვთ, ხელისგულები ერთმანეთს გაუხახუნეთ და კიდევ ერთხელ სცადეთ. მიჩნეულია, რომ რაც უფრო მეტად გიჭირთ გარკვეული მუდრის გაკეთება, მით უფრო მეტი სარგებლიანობის მომტანია იგი.

### ინფორმაცია თემაში

## თითები და პიროვნების თვისებები

**მუდრები მარტო ჯანმრთელობის მდგომარეობას კი არ აუმჯობესებს, არამედ ხასიათის თვისებების დახვეწასა და ემოციების მართვაში გვეხმარებიან. თითოეულ თითს განსაკუთრებული დანიშნულება აქვს.**

**ცერა თითი ნებისყოფას, ლოგიკას, სიყვარულსა და კაცის ეგოს უკავშირდება. საჩვენებელი თითი ძალაუფლებასთან, საკუთარ ძალებში რწმენასთან, შემეცნებასა და სიბრძნესთანაა დაკავშირებული. შუათითი ცხოვრებაში გაწონასწორობას ჰქმნის, იგი მოთმინებასა და გრძნობების გაკონტროლების უნარს უკავშირდება. არათითი ჯანმრთელობაზე, ცხოვრებისეულ ენერგიასა და აქტივობაზეა პასუხისმგებელი. ნეკა თითი, როგორც ყველაზე პატარა და დაუცველი, ადამიანის შემოქმედებით ძალებსა და მშვენიერების დანახვისა და მისი დაფასების უნარს გამოხატავს.**

**მუდრები ორივე ხელით სრულდება;**

**ვარჯიშების შესრულება რეკომენდებულია მშვიდ პოზაში, საკუთარ შეგრძნებებზე კონცენტრაციით;**

**მუდრების შესრულების დროა დღეში დაახლოებით 30-45 წუთი. მათი დაყოფა სამ ეტაპად შეიძლება;**

**ვარჯიშს საგრძნობი ეფექტი მხოლოდ რეგულარული მეცადინეობის შედეგად მოაქვს.**

## მ ც ი რ ე დ ი   პ რ ა ქ ტ ი კ უ მ ი

### სიცოცხლის გადამრჩენი „მუდრა“



**ამ „მუდრის“ გაკეთებას ყველას ვურჩევთ, მაგრამ განსაკუთრებით იმათ, ვინც გულს უჩივის. მისი მეორე სახელწოდებაა „სასწრაფო დახმარება“. იგი გულის არეში ტკივილის, გახშირებული გულისცემის, გულის შეტევის ნიშნების დროს გამოიყენება. საჩვენებელ თითს ხრით და ცერათითის ფუძეზე იდებთ. შუათითი და არათითი ბალიშებით ცერას უერთდება, ნეკი კი განზე გაწეული რჩება.**

### „მუდრა“ – „მისტიკური ფრინველი“



**ეს „მუდრა“ სისხლის მიმოქცევასა და ნივთიერებათა ცვლას აუმჯობესებს, კუჭის აშლილობისა და ქალებში მენსტრუაციის დროს ტკივილს ამცირებს.**

**ხელისგულები თქვენსკენ შემოატრიალეთ, ცერა თითები ერთმანეთს გადააჯვარეთ. სხვა თითები მისტიკური ფრინველის ფრთებივით გაშლილია. შემდეგ ყოველ ათ ჩასუნთქვაზე ხელები მუცლის ქვედა ნაწილს უნდა მიადოთ (მარჯვენა ხელი ზემოთ მოაქციეთ). მომდევნო ათი ჩასუნთქვის დროს ხელები ჭიპის მიდამოებში დაიდეთ. ათი ჩასუნთქვის მესამე ციკლისას კი ხელები მკერდის ქვეშ ჩაღრმავებაზე დაიდეთ, რის შემდეგ ისინი მკერდზე აიტანეთ და ნელი მოძრაობით ერთმანეთს დააცილეთ, მხრებზე ნარნარი მოძრაობით ჩამოისვით. „მუდრა“ დღეში სამჯერ, ოთხ-ოთხი წუთის განმავლობაში უნდა გაიმეოროთ.**

### სიცოცხლის „მუდრა“

**ეს „მუდრა“ ძალას შეგმატებთ დაღლილობისა და სისუსტის შეგრძნების დროს, დაგეხმარებათ ძილის მორევში. იგი ათანაბრებს ენერგეტიკულ დონეს მთელ ორგანიზმში და თავის ტვინის ორივე ნახევარსფეროს სტიმულირებას ახდენს.**



**ცერათითი ბალიშით არათითსა და ნეკს შეუერთეთ, საჩვენებელი და შუათითი კი ერთმანეთს შეუერთეთ და თავისუფლად გაშალეთ. საგულისხმოა, რომ ამ წესით შეერთებულ თითებს ხშირად ნახავთ მართმადიდებლურ ხატებზე გამოსახული წმინდანთა პორტრეტებზე.**

**ნინო ალექსანდრია**

კრიმინალი

# ესპანეთში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

**ესპანეთში თაღლითობის ბრალდებით 10 ადამიანი დააკავეს, რომელთა შორის საქართველოს ორი მოქალაქეა, – ამის შესახებ სააგენტო „როიტერი“ იუწყება.**

უსაფრთხოების საკითხებში ესპანეთის სახელმწიფო მდივნის ფრანცისკო მარტინესის განცხადებით, 10 სავარაუდო თაღლითი კურორტ კოსტა-დელ-სოლზე გასულ კვირას დააკავეს.

მისივე ინფორმაციით, დაკავებულთა შორის ექვსი – რუსეთის, ორი – უკრაინის და ორი – საქართველოს მოქალაქეა. დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი რუსეთის 27 წლის მოქალაქეა. არსებული ინფორმაციით, ეჭვმიტანილებს ვირუს Ransomware-ს გამოყენებით მწყობრიდან გამოჰყავდათ კომპიუტერები მსოფლიოს 30 ქვეყანაში. შემდეგ კი ისინი „ევროპოლის“ სახელით ჯარიმის გადახდას ითხოვდნენ, რათა კომპიუტერთან მომხმარებლის წვდომა აღედგინათ. ჯარიმის ოდენობა 100 ევროდან იწყებოდა. მათ ფულის გათეთრებასაც ედავებიან, რომელიც, გამოძიების ინფორმაციით, რუსეთში იგზავნებოდა.

**საქართველოს არქიტექტორთა კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირის უხუცესი წევრი, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი**

**პავლე თუმანიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.**

სატკივარი

# ქუჩაში, მტვერში, ყინვაში...

**თბილისის ქუჩები, ეკლესიების ეზოები, სარკინიგზო და ავტოვაგზლები დაბეჩავებული ხალხით რომაა გავსებული, ყოველდღე ყველანი კარგად ვხედავთ. ასეთი ვითარება მარტო თბილისში რომ არ არის და მსგავსი სურათი ქვეყნის ყველა დიდი თუ პატარა ქალაქისთვის ჩვეული ამბავია, არც ესაა დიდი სიახლე.**

თუ რატომაა, რომ ამ ჩვენს დემოკრატიის წარმატებით ამშენებელ ქვეყანაში, რომელიც, ამავე დროს, ეკონომიკურადაც დღითი დღე იკრებს ძალებს, ხოლო მოსახლეობის კეთილდღეობა მთლად თვიდან თვემდე თუ არა, სეზონიდან სეზონამდე განუხრელად იზრდება, მაინც ამდენი გაჭირვებული და, მით უმეტეს, ქუჩაში გამოსული მათხოვარია, სხვა საკითხია, რომლის პასუხიც ყველამ კარგად ვიცით, თუმცა კი, ზოგს თვალის დახუჭვა ურჩევნია. ამ ჯერზე ჩვენი სატკივარი არა ზოგადად ქუჩებსა და მეტროში ასე მომრავლებული მათხოვარია ზოგადად, არამედ ერთი სავსებით კონკრეტული და გულის განმგმირავი შემთხვევაა.



დედაქალაქის იმ მცხოვრებლებს, ვინც რუსთაველის პროსპექტისა და მელიქიშვილის ქუჩების მიმდებარედ ცხოვრობენ, ანდა დღის მანძილზე ამ მარშრუტით გადაადგილება უწევთ, უდავოდ ყურადღებას მიაქცევდნენ ერთ გამორჩეულ ახალგაზრდა მათხოვარ კაცს, რომელიც მის „პატრონს“ ამ ტრასაზე სხვადასხვა დღეს სხვადასხვა ადგილზე მიჰყავს, წელს ზემოთ შიშველს ასფალტზე დაგებულ ქვეშაგებზე აწვენს და ტოვებს. ყოველივე ეს მოქალაქეთა, დიდისა თუ პატარის თვალწინ, ხშირად სკოლაში მიმავალ-მომავალი ბავშვების გზაზე ხდება ზამთრის სუსხიან დღეებში. განა უმწეო ადამიანებისადმი ასეთი მოპყრობა დანაშაული არ არის? ან ბავშვებს რას ვაყურებინებთ, რა მაგალითს ვაძლევთ?.. ანდა საპატრულო პოლიცია რას უყურებს, რატომ არ მოსთხოვს პასუხს ამ უბედური ახალგაზრდის „მესვეურებს“?

როგორც ჩანს, მართალი ყოფილა დიდი ვიქტორ ჰიუგო, რომელიც თავისი უკვდავი რომანის „კაცი, რომელიც იცინის“, წერდა, რომ თბილ ლოგინს ადამიანის გულის ქვის ლოდად გადაქცევის უნარი აქვს.

განა ჩვენც ქვის ლოდებად გვექცა გულები?

**ოთარ ტურაბელიძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

კონტრაბანდა

# საბაჟოს გვერდის ავლით

**თბილისის აეროპორტის საბაჟო გამშვებ პუნქტზე კონტრაბანდული ტვირთი დააკავეს. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, გუშინ, რეისით, დუბაი – თბილისი (FZ713) , რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ს. ბ. ჩამოფრინდა.**

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, მოქალაქე ს.ბ-მ კუთვნილი ტვირთის აეროპორტის ტერიტორიიდან გატანა, საბაჟოს გვერდის ავლით, სავალდებულო დეკლარირების გარეშე სცადა. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის ოფიცრებმა პირს განუმარტეს, რომ მისი კუთვნილი ბარგი, კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დათვალიერებულიყო.

ხელბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა აღურიცხავი საქონელი: ტელეფონი SAMSUNG GALAXY – 30 ცალი, ტელეფონი IPHONE – 29 ცალი, პლანშეტი – 6 ცალი (SAMSUNG – 2 ცალი, IPAD – 4 ცალი), სპორტული ფეხსაცმელი – 32 წყვილი, შარვალი – 21 ცალი და სხვა.

შეივსო მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერების ოქმი, სადაც აღინიშნა, რომ ს. ბ-ს, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, საქართველოში შემოჰქონდა არადეკლარირებული, კონტრაბანდული საქონელი.

ს. ბ.დათვალიერების შედეგად გამოვლენილ ფაქტებს დაეთანხმა და მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერების ოქმს ხელი მოაწერა.

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## სულიერება

# უდიდესი საუფლო დღესასწაული მირქმა (მიგებება) მაცხოვრისა

**15 თებერვალს საქართველოს სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მირქმას (მიგებებას) უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.**



...ყველასათვის ცნობილია, რომ როცა იესო ქრისტე ორმოცი დღის შესრულდა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და მისი დამწინდველი იოსები ტაძარში მივიდნენ. წესისამებრ, ახალნამშობიარევ დედას 40 დღე არ აქვს უფლება ტაძარში შესვლისა, ვიდრე არ წაეკითხება განწმენდის ლოცვა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს განწმენდის ლოცვა არ სჭირდებოდა, რადგან ქალწულად დარჩა, მაგრამ მაინც შეასრულა ღვთის კანონი.

ტაძარში ჩვილით მისულ მარიამ და მართალ იოსებს მიეგება სულიწმინდის მადლით ცხებული მართალი სვიმეონი. იგი იყო ერთ-ერთი იმ 70 ებრაელთაგან, რომლებსაც ებრაულიდან ბერძნულ ენაზე უნდა ეთარგმნა ბიბლია. სვიმეონს წილად ხვდა ესაია წინასწარმეტყველის წიგნის თარგმნა და როცა მიუახლოვდა ადგილს, სადაც წერია: „ჰა, მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს“, ეგონა, რომ წიგნში გაპარული იყო შეცდომა, რადგანაც შეუძლებლად ჩათვალა, ქალწულს ეშვა ძე, სვიმეონმა ადგილის შეცვლა განიზრახა.

...მოულოდნელად უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ვერ იხილავ სიკვდილს, ვიდრე არ ნახავ ქალწულისგან შობილ მაცხოვარს“. 360 წლის იყო სვიმეონი, როცა იერუსალიმის ტაძარში მიყვანილ მრავალ ბავშვს შორის სულიწმინდის კარნახით შეიცნო მაცხოვარი და შემდეგი სიტყვებით მიეგება: „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისამებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრებაი შენი“.

...წმინდა მამები გვასწავლიან, რომ არა მხოლოდ მართალი სვიმეონი და წმინდა ანა გახდნენ უფლის მიგებების ღირსნი, არამედ ყოველ მორწმუნეს აქვს უფალთან შეხვედრის საშუალება, — და ეს ხდება ტაძარში აღსარებისა და ზიარების დროს.

გილოცავთ ყველას ამ უდიდეს საუფლო დღესასწაულს!

**გიული ლიპარტია**

## დაიჯესტი

### ნუ დაადგებით დიაბეტის გზას!

**მოზარდობაში ჭარბ წონას, თურმე, მომავალში შთამომავლობის გამრავლებაში ხელის შეშლა შეუძლია.**

14-20 წლის მსუქან მოზარდ ყმაწვილებს თავიანთ ტანწერწეტა თანატოლებთან შედარებით 50 პროცენტით ნაკლები ტესტოსტერონი აქვთ. სხვათა შორის, ჭარბი წონის დროს მოზარდებს მუცელზე აბდომინალური ქონი ედებათ, კუნთოვანი მასა უმცირდებათ, ეს კი დიაბეტის პირდაპირი გზაა.

### სქესთა უთანასწორობა



**დიდი ბრიტანეთის მკვიდრი ყოველი მესამე ქალბატონი მიიჩნევს, რომ მამაკაცებს ქალებზე გაცილებით უფრო საინტერესო ცხოვრება აქვთ.**

მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა აზრით, მამაკაცებს უფრო ცოტა საოჯახო მოვალეობა აკისრიათ, თანაც გარშემო მყოფთა აზრიც ნაკლებად ადარდებთ. ქალბატონების 39 პროცენტს მიაჩნია, რომ მამაკაცები უფრო აქტიური სოციალური ცხოვრებით ცხოვრობენ. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ბრიტანელ მამაკაცთა მხოლოდ მეოთხედს მიაჩნია, რომ ისინიც ცხოვრებაში კარგად ერთობიან.

### ჯეი ლოს ხუშტურები

**ცოტა ხნის წინათ სანკტ-პეტერბურგში კონცერტი გამართა ამერიკელმა მსახიობმა და მომღერალმა ჯენიფერ ლოპესმა.**

ისევე, როგორც შოუ-ბიზნესისა და კინოს სხვა ვარსკვლავებს, ჯეი ლოსაც, როგორც მას შემოკლებით ჟურნალისტები ეძახიან, თავისი, იმის დარი „ბზიკები“ აქვს, როგორებიც, ვთქვათ, მადონას, რომელსაც იმის შიშით, რომ ჰიპოთეტურ ბოროტმოქმედებს მისი დნკ-ს მოპარვა და შემდეგ... კლონირება შეუძლიათ (!) და ყველა გასტროლზე საგრიმიოროს დამლაგებელთა მთელი რაზმი დაჰყავს.



მადონას არც ჯეი ლო ჩამორჩება, თუმცა მისი მოთხოვნები საგრიმიოროს მოწყობასთან დაკავშირებით, რამდენადმე სხვა ხასიათისა იყო: მისი კედლები სუფთა, ქათქათა თეთრი ფერისა უნდა ყოფილიყო, ყოველგვარი მილებისა და დაპირების გარეშე. თავად სათავსო სპა ან ძენის სტილში უნდა ყოფილიყო გაფორმებული. გარდა ამისა, მომღერლის მოთხოვნა იყო, რომ ოთახში ვენეციური შუშის ნათურები, სანთლები, ახალი დარიჩინი, ალოეს წვენიანი გამლღვალი წყალი და სხვა „რამე-რუმეები“ ყოფილიყო. რაც შეუსრულეს კიდეც.

### იღბლიანი ბერი

**ცოტა ხნის წინათ მსოფლიო მასმედიაში გავრცელდა ცნობა იმის თაობაზე, რომ მსოფლიოში... ყველაზე იღბლიან კაცს მიაგნეს! საამისოდ ამერიკელმა ნევროლოგებმა იმ ადამიანთა თავის ტვინი გამოიკვლიეს, ვინც ყოველდღე მედიტირებს.**

მათი დასკვნით, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი კაცია ნეპალის დედაქალაქ კატმანდუს ერთ-ერთი მონასტრის ბერი, რომელიც ყოველდღე მრავალი საათის განმავლობაში მედიტირებს.

— აპარატურა აჩვენებს, რომ მედიტაციის დროს ადამიანის თავის ტვინი გაცილებით ნელ, უფრო „შეღავათიან“ რეჟიმში, თითქმის ისევე მუშაობს, როგორც ძილის დროს, — აცხადებენ სპეციალისტები. — სტრესების ხანაში ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან თავის ტვინს დაძაბულობას უხსნის და ინსულტების პროფილაქტიკას ახდენს.

## ანეკდოტები

**ორი ქალი ირჩევს ღია ბარათებს ვალენტინის დღისთვის.**

**— ნახე, რა ლამაზია ეს ღია ბარათი — „ჩემს ფისუნიას!“, — ამბობს ერთი. ხომ არ მეყიდა ჩემი ვირისთვის?**

* * *

**— ადვილია ახალგაზრდად ყოფნა?**

**— გააჩნია, რა ასაკში.**



* * *

**გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ თუ გარშემო ყველა ბრიყვია, თქვენ არ შედიხართ მათს რიცხვში.**

* * *

**— ყველაზე მეტად ცხოველთაგან ვის გაგონებ? — ეკითხება ცოლი ქმარს.**

**— ოო! მომიტანე ერთი რძე.**

* * *

**მევალისა და მოვალის ურთიერთობათა მთელი სიღრმე შეიძლება ორ ფრაზაში ჩავტიოთ.**

**— ნეტავი მალე ჩაძაღლდებოდე!**

**— ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს!**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# ციტატები გაზეთებიდან



### „ნაციონალების“ მმართველობისდროინდელი განაჩენების გადახედვა დაიწყება

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, უახლოეს მომავალში მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი კომისია შეიქმნება, რომელიც ყველა იმ პირის საქმეს განიხილავს, რომლებიც თავს უკანონობის მსხვერპლად მიიჩნევენ. კომისია მუშაობას კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ დაიწყებს და ის მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულთა საქმეებს განიხილავს.

**„რეზონანსი“**

### „უგულავა დაკითხვაზე პოლიციის ძალით უნდა მიეყვანათ“

— ამბობს ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი, — როდესაც პირველად ის არ გამოცხადდა, მე მაშინვე ვთქვი, როგორ უნდა მოიქცეს პოლიცია. პოლიცია უნდა მოქცეულიყო ისე, როგორც ამას კანონი მოითხოვს, ანუ უნდა მისულიყო იქ რამდენიმე პიროვნება — ორი იქნებოდა საჭირო, ათი თუ ორმოცდაათი. ის იძულების წესით და, თუ საჭირო იქნებოდა, ბორკილების დადებითაც უნდა მიეყვანათ დასაკითხად და მეორედ ის ვეღარ გაბედავდა, როგორც დღეს თავს გაუვიდა, იმიტომ, რომ მას კანონზე მაღლა მდგომად მიაჩნია თავი.

**„ახალი თაობა“**

### „პრეზიდენტი, რომელსაც კვერცხებს უშენენ, უნდა წავიდეს“

— მიაჩნია საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას, — ახლა სააკაშვილი თავისთვის ცუდის მეტს არაფერს აკეთებს, საერთოდ დაეცა მისი რეიტინგი. თითქოს დაიწყო მოლაპარაკებები, მაგრამ რა აზრი აქვს? ეს ადამიანი გარეთ გამოდის და სხვას ლაპარაკობს. სააკაშვილი პიარშიც აგებს. იყო დრო, როცა ხალხის დიდ ნაწილს აჯერებდა. პრეზიდენტი, რომელსაც კვერცხებს უშენენ, უნდა წავიდეს. მე რომ მკითხოთ, არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგაც უნდა წასულიყო. როცა დედაქალაქს კარგავ, მორჩა, ქვეყანა დაკარგული გაქვს.

**„ალია“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ ზოზიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com